118

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში— 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე ფოსტით გზავნისათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 1 მან. განცხადება 20 კ. ნაწერებით ნომპარელის სტრიქონი. სამ ლ. ოფიციალური განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ.

№ 67 (922) კვირა, 23 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. ჩერვონცებით. № 67 (922)

დღიური

— საბჭოთა კავშირის ცაკმა მოხსნა ყოფ. პატრიარქ ტიხონის საქმე.

— პოლონეთში სამსახურიდან დაითხოვეს სამოცდაათიათასი მოხელე.

— გაიფიცნენ ლონდონის ტრამვაის მუშები.

— სამხრეთ-სლავიასა და საბერძნეთს შორის მოხდა შეთანხმება ბულგარეთის კომიტაჯებთან ერთად ბრძოლის შესახებ.

— იაპონიის პრესა შიშს გამოსთქვამს ამერიკაში მოსალოდნელი ეკონომიური კრიზისის გამო.

— ირლანდიაში კვლავ აჯანყებამ იფეთქა.

ხელისმოწერა „კომუნისტზე“ აპრილისთვის

მუშა-მოსამსახურეებს, წით.-არმიელებს და მოსწავლე ახალგაზრდობას

გაზეთი გაეგზავნება იმავე დაკლებულ ფასებში, როგორც მარტში

ერთი თვით	ტფილისში	90 კაპ.	სამი თვით	ტფილისში	2 მან. 60 კაპ.
	პროვინციაში	1 მანეთი		პროვინციაში	2 მან. 90 კაპ.
ორი თვით	ტფილისში	1 მან. 75 კაპ.	ექვსი თვით	ტფილისში	5 მან. 20 კაპ.
	პროვინციაში	1 მან. 95 კაპ.		პროვინციაში	5 მან. 90 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვისაც **გაზეთის ფასი მცირდება** თვიურათ ერთი აბაზით.

ტფილისში (მიტანით) ეღირება თვიურათ 1 მ. 30 კ.

პროვინციაში

1 თვით	1 მან. 30 კაპ.	4 თვით	5 მან. 20 კაპ.
2 „	2 „ 60 „	5 „	6 „ 50 „
3 „	3 „ 90 „	6 „	7 „ 50 „

პროვინციის ხელისმომწერლებმა უნდა შემოიტანონ, გარდა ფასისა, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად, ორი შაური თვიურად.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა/წ. 24 მარტს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში, (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის)

დანიშნულია ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. კომუნალური განყოფილების მოხსენება:
   ა) წარმოებები, ბ) კეთილ-მოწყობა, გ) ბინის საკითხი.
2. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრებისათვის და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.

967—2—2 პრეზიდიუმი

ვენის კონფერენციის გამო

ამ დღეებში გაიხსნება ქ. ვენაში (ავსტრია) საბჭოთა კავშირის და რუმინიის კონფერენცია, რომლის მიზანია ამ ორ მხარეთა შორის სადაო საკითხების და ურთ-ერთი დამოკიდებულების მოგვარება.

„ბოიარების“ რუმინია ერთ-ერთი ისეთი ქვეყანაა, რომელიც დღემდე მტრულადაა განწყობილი ჩვენი რესპუბლიკების კავშირისადმი.

ამ ორ სახელმწიფოს შორის უთანხმოების ძირითადი წყაროა რუმინიის აგაზაკური იმპერიალიზმი, რომელმაც ოქტომბრის გადატრიალების პირველ ხანებში ჩამოგლიჯა საბჭოთა რუსეთს მისი ტერიტორიის ულამაზესი ნაწილი— ბესარაბია და ამ ქვეყნის მუშებს და გლეხებს დაადგა მემამულეების და კაპიტალისტების მძიმე უღელი.

რუმინიის მთავრობამ ის მოაწყო საქმე, რომ 1917 წ. ოქტომბერში მისმა აგენტებმა გამოაცხადეს „ავტონომიური“ ბესარაბია, შექმნეს „პარლამენტი“, რომლის სათავეში იდგნენ რუმინიის მთავრობისაგან მოსყიდული პროვოკატორები.

1918 წ. იანვარში ბესარაბიაში, მისი „პარლამენტის“ ფარული მოწვევით და დასტურით, შემოვიდნენ რუმინიის ჯარები, რომელთა სარდალმა განუცხადა მოსახლეობას, რომ „რუმინიის ჯარს სურს მხოლოდ დაამყაროს წესრიგი და მშვიდობიანობა და ამით მისცეს მას (მოსახლეობას) შესაძლებლობა განამტკიცოს თავისი ავტონომია და თავისუფლებანი“.

თუ როგორი თავისუფლება და წესრიგი მიანიჭა რუმინიამ ბესარაბიის მშრომელ ხალხს, ეს, სხვათაშორის, იმ დღეებშივე გამოაშკარავდა, როცა 8 იანვარს რუმინელი ჯარისკაცები შეიჭრნენ გლეხთა ყრილობის სხდომაზე და დახვრიტეს პრეზიდიუმის ყველა წევრები. დახვრეტილ იქნა, დიდი წამების შემდეგ, ამ საქმის გამო გამოსაძიებლად ყრილობის მიერ დანიშნული კომისიაც.

რუმინიის მთავრობა იმ ხნობით მაინც ვერ ბედავდა კიდევ აშკარად და საბოლოოდ აემხედრებია საბჭოთა რუსეთი ბესარაბიის საკითხში. მან ხელი მოაწერა საბჭოთა მთავრობასთან ხელშეკრულებას, რომლის ძალით ორი თვის განმავლობაში უნდა განთავისუფლებია ბესარაბია თავისი ჯარებისაგან. მაგრამ რუმინიის მთავრობის მხრით ეს იყო მხოლოდ ხერხი დროის მოსაგებად. ის მოელოდა იმ მომენტს, როცა საბჭოთა რუსეთის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა უფრო გართულდებოდა, როცა ის შესძლებდა ბესარაბიის შემოერთებას.

და ჩვენ ვხედავთ, რომ რუმინეთის მთავრობამ 1918 წ. მაისში მოიწვია ბესარაბიის „პარლამენტი“, რომლის სხდომას დაესწრო 162 დეპუტატის საერთო რიცხვიდან მხოლოდ 46 კაცი — ყველა აგენტი და მოსყიდული ხსენებულ მთავრობის მიერ, და ამ „საპატივცემულო“ კრებაზე გამოცხადებულ იქნა რუმინიის მეფის დეკრეტი ბესარაბიის „პარლამენტის“ დაშლის და ამ ქვეყნის რუმინიასთან შეერთების შესახებ.

ასე მოახდინეს ბესარაბიის ხალხის „თვითგამორკვევა“.

იწყება ბესარაბიის მშრომელი ხალხის წამება. გლეხებმა დაკარგეს მიწა, მუშებმა ყოველგვარი უფლებები, დაშლილ იქნა ყველა მუშათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ებრაელთა აწიოკებამ მასიური ხასიათი მიიღო, ძალით შემოღებულ იქნა რუმინული ენა. მძვინვარებს თეთრი ტერორი ყველა უკმაყოფილოთა წინააღმდეგ.

ბესარაბიის მშრომელი [illegible] [illegible] ბრძოლა [illegible] განთავისუფლებისათვის რუმინელ „ბოიარების“ უღლიდან დღემდე გრძელდება. ბესარაბიის მშრომელი იბრძვის საბჭოთა წყობილების დამყარებისა და საბჭოთა კავშირთან შეერთებისათვის. რუსეთის და საკავშირო საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო დამშვიდებით ეცქირა რუმინიის ყაჩაღური იმპერიალიზმისათვის და მის ხუნდებში მომწყვდეულ მოძმე ბესარაბიის მშრომელი მასების აუტანელი მდგომარეობისათვის.

საბჭოთა მთავრობა არა ერთხელ ცდილა მოეგვარებია ბესარაბიის საკითხი, ამ ქვეყნის მუშების და გლეხების ინტერესების მიხედვით, და დაემყარებია რუმინიასთან ნორმალური ურთიერთობა. მრავალჯერ გამართულა კონფერენციები და მოლაპარაკებანი. მაგრამ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა ყოველთვის აწყდებოდა რუმინიის წრეგადასულ იმპერიალიზმს.

როგორც ვსთქვით, ამ დღეებში შესდგება საბჭოთა კავშირის და რუმინიის კონფერენცია, სადაც ერთ მთავარ საკითხად უნდა დაისვას რუმინიის საკითხი.

აქ აღსანიშნავია ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. ვენის კონფერენციის მოლოდინში საფრანგეთის პარლამენტმა რატიფიკაცია უყო ბესარაბიის შეერთებას რუმინიასთან.

ჩვენ ამას წინედ გვქონდა მოთავსებული წერილი და საჭირო ცნობები, სადაც ვარკვევდით, კერძოდ ჩინეთის მაგალითზე, თუ რა აგრესიულ პოლიტიკის წარმოებას განაგრძობს პუანკარე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საფრანგეთმა (ამერიკასა და იაპონიასთან ერთად) პეკინის მთავრობას უარი ათქმევინა ჩვენი რესპუბლიკების ცნობაზე.

საფრანგეთის მთავრობა, სადაც ხელი მიუწვდება, არაფერს ზოგავს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გართულებისათვის.

ამ შემთხვევაში რუმინიას იყენებს თავის იარაღად.

თავის თავად ცხადია, რუმინიას ცოტა არ დაუჯდებოდა პუანკარეს ეს „მოწყალება“. საფრანგეთი კარგა ხანია თვალს ადევნებს რუმინიის ნავთზე, მას ესაჭიროება „ყოველ შემთხვევისათვის“ აგრეთვე რუმინიის სამხედრო ძალები.

პუანკარე, ცხადია, თავისი „რატიფიკაციის“ საფასურად უხვ კომპენსაციას მიიღებდა.

მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ბესარაბიის საკითხის გადაჭრა შეუძლებელია საბჭოთა კავშირის გარეშე. ამასთან არავის არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან ბესარაბიის მშრომელთა შეურყეველი ბრძოლა განთავისუფლებისათვის რუმინიის „ბოიარების“ კლანჭებიდან, აგრეთვე რუმინიის მშრომელ ხალხის აღშფოთება „თავის“ მთავრობის მტაცებლობის გამო.

საფრანგეთი, რუმინია და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოები განაგრძობენ კამპანიას საბჭოთა კავშირის ცნობის და მასთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენის წინააღმდეგ.

მაგრამ ცხოვრების მსვლელობა, საბჭოთა კავშირის სიმტკიცე გასტეხს მათ ჯიუტობასაც.

ვენის კონფერენციაზე საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ შეეცდება რუმინიასთან სადაო საკითხების გარჩევას და ბესარაბიის საკითხის სათანადოდ გადაჭრას.

თუ ეს იქ ვერ მოხერხდა რუმინეთის იმპერიალისტური მადის წყალობით, ბესარაბიის მშრომელი ხალხი თავის მოხერხებულ დროს თავის მიზანს მიაღწევს.

1923 წლის მეორე ნახევრის ადგილობრივი ბიუჯეტი

II *)

გასულ წლის მეორე ნახევრის ადგილობრივ ბიუჯეტებმა საუწყებათაშორისო და სახალხო კომისართა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მიერ განხილვის შემდეგ ასეთი გამოხატულება მიიღო: საკუთარი შემოსავალი ყველა მაზრების (ტფილისის გამოკლებით) უდრის 1.240.693 ჩ. მ, გასავალი—1.616.364 ჩერ. მან. და დეფიციტი—375.671 ჩერ. მ. სახალხო კომისართა საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ სადოტაციო თანხა გაადიდა 30 ათასი მანეთით, და ეს თანხა უდრის 405 ათას ჩერვ. მან.

მაზრების შემოსავლის წყაროებს შეადგენენ:

(ციფრები ნაჩვენებია ათასებში)		პროცენტული შეფარდება შემოსავლის საერთო ჯამთან: უდოტაციოთ	დოტაციით
1. § 2. წარმოებათა და სხვა მეურნეობის ექსპლოატაციისაგან შემოსავალი	321 ათ. მ.	25,84 პრ.	19,1 პრ.
2. § 3. სატყეო შემოსავალი	160 ათ. მ.	12,86 პრ.	9,8 პრ.
3. § 4. ადგილობრივი გადასახადებისაგან და გამოსაღებებისაგან.	248 ათ. მ.	19,93 პრ.	15,5 პრ.
4. § 5. სახელმწიფო გადასახადებისაგან და შემოსავლიდან გადარიცხვანი	358 ათ. მ.	28,75 პრ.	22,3 პრ.
5. § 6. სახელმწიფო გადასახადებზე და გამოსაღებებზე დამატებანი	84 ათ. მ.	6,80 პრ.	5,2 პრ.
6 — დანარჩენი წყაროები	72 ათ. მ.	5,82 პრ.	18,1 პრ.
სულ	1.243 ათ. მ.	100 პრ.	

შემოსავლის წყაროების დაყოფა შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად, და მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს:

1 ყოველგვარ გადასახად-გამოსაღებებისაგან (§§ 4, 5 და 6)	690 ათ. მან.	55,48 პროც.
2. ყოველგვარ სამეურნეო წყაროებიდან (§§ 2 და 3)	481 ათ. მან.	38,70 პროც.
3. დანარჩენ წყაროებიდან	72 ათ. მან.	5,82 პროც.
	1 243 ათ. მან.	100 პროც.

პირველი ჯგუფი გადასახად გამოსაღებები შესდგება:

1. სახელმწიფო გადასახადებთან და შემოსავალთან დაკავშირებული	442 ათ. მან.	35,55 პროც.
2. ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებებიდან	248 ათ. მან.	19 93 პროც.

მეორე ჯგუფი (სამეურნეო) შესდგება:

1. ისეთი წყაროები, რომლებიც რევოლიუციამდეც მუნიციპალიტეტების ხელში იყო	—	—
2. ისეთი წყაროები, რომლებიც რევოლიუციის შემდეგ გადავიდა აღმასკომების ხელში (§§ 2 და 3)	481 ათ. მან.	38,70 პროც.

მესამე ჯგუფი:

1. სხვადასხვა წყაროებიდან	72 ათ. მან.	5,82 პროც.

მაგრამ თუ სამეურნეო წყაროებიდან ყველა შემოსავლის მაგიერ ავიღებთ წმინდა შემოსავალს და ამ უკანასკნელს შევადარებთ სხვა წყაროების შემოსავალს, უმთავრესათ, პირველ ჯგუფისას (გადასახ. გამოსაღებებიდან), მაშინ მივიღებთ ასეთს სურათს:

კომუნალურ მეურნეობის ყოველგვარი ხარჯები გამოიხატება შემდეგნაირად:

§ 5. კომუნალურ მეურნეობის ორგანოების შენახვა	119 ათ. მან.	7,4 პროცენტი.
§ 7. წარმოებათა და სხვა მეურნეობათა შენახვა	223 ათ. მ.	13,8 პროც.
§ 12. ტრანსპორტი	22 ათ. მ.	1,4 პროც.
	364 ათ. მ	22,6 პროც.

ყოველგვარი შემოსავალი სამეურნეო წყაროებიდან უდრის 481 ათ. მან. და ამავე დარგის საექსპლოატაციო, საადმინისტრაციო ხარჯები შეადგენს—364 ათას მანეთს, ამნაირად ყველა სამაზრო აღმასკომებს, ტფილისის გამოკლებით, სამეურნეო წყაროებიდან წმინდა მოგება რჩება სულ 117 ათ. მან; ამ 117 ათას მანეთიდან ქუთაისის აღმასკომს ეკუთვნის 91 ათასი მანეთი და დანარჩენ აღმასკომებს მხოლოდ 26 ათასი მან. სამეურნეო წყაროების ასეთი მცირე შემოსავლიანობა, რასაკვირველია, უკიდურესად არა ნორმალური მოვლენაა.

ახლა გავითვალისწინოთ ყველა აღმასკომების (ტფილისის გამოკლებით) საერთო წმინდა შემოსავალი.

აი აღმასკომების წმინდა შემოსავალი:

1. ყოველგვარ-გადასახად-გამოსაღებებიდან	690 ათ. მან.	78,3 პროც.
2. ყოველგვარ სამეურნეო წყაროებიდან	117 „ „	13,4 „
3. დანარჩენი წყაროებიდან	72 „ „	8,3 „
	879 ათ. მან.	100 პროც.

ამნაირად ირკვევა, რომ წმინდა შემოსავალი სამეურნეო წყაროებიდან აქ აღნიშნულ შემოსავლის მხოლოდ 13,4 პროც. შეადგენს.

ბოლოს ადგილობრივ აღმასკომების შემოსავალთა ორ მთავარ ჯგუფის ერთი მეორესთან შედარება ასეთ სურათს გვაძლევს:

1. სახელმწიფო გადასახადთან და შემოსავალთან დაკავშირებულიდან	442 ათ. მან.	52,2 პროც.
2. ყოველგვარი ადგილობრივი შემოსავალი	437 „ „	47,8 „
	879 ათ. მან.	100 პროც.

ეს შედარება გვიჩვენებს, რომ შემოსავლის ეს ორი წყარო ერთი მეორეს ეჯიბრება და აღმასკომებს თითქმის თანასწორ შემოსავალს აძლევს. აღმასკომებთა შორის (ტფილისის გამოკლებით) მხოლოდ ქუთაისის შეადგენს გამონაკლისს, სადაც წყაროები:

1. სახელმწიფო გადასახადთან და შემოსავალთან დაკავშირებული იძლევა	48 ათ. მან. ანუ 24 პროც.
2. ყოველგვარი ადგილობრივი წმინდა შემოსავალი	151 ათ. მან. ანუ 76 პროც.

ასეთ სურათს გვაძლევს აღმასკომების სხვადასხვა საშემოსავლო წყაროების ერთიმეორესთან შედარება.

დ. თ.

---

* იხ. „კომუნისტი“ № 61.

რადიო-დეპეშები

(„ზაკ ახტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

პეკინში იმართება მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზეც მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

ამხ. კარახანი ინახულეს სტუდენტებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დელეგაციებმა, რომლებმაც სთხოვეს მას ნუ დასტოვებს ჩინეთს.

ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა გადააყენოს ვანი და განაგრძოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან.

დანიის გაზეთები იუწყებიან, რომ დანია ამ დღეებში იურიდიულად იცნობს საბჭოთა კავშირს.

გაიხსნა რუსეთ-პოლონეთის კონფერენცია საკონსულო კონვენციის დასადებად.

მოსკოვში ჩამოვიდა მექსიკის პარლამენტის დელეგატი რამონ პედრუეცა.

საბჭოთა კავშირის მუსიკალური დაწესებულებები მიწვეული არიან საერთაშორისო მუსიკალურ კონგრესზე პარიზში.

რუსეთ-ჩინეთის კონფლიქტი

ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის თხოვნა.

პეკინი. 20 მარტი. ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ველინგტონ-კუმ სთხოვა კარახანს, რომ მან გააუქმოს სამი დღის ვადა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ მისცა ჩინეთს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების საკითხის გადასაჭრელად. ველინგტონი ამტკიცებდა, რომ ვანს, რომელმაც ხელი მოაწერა წინასწარ შეთანხმებას, არ ჰქონდა ჩინეთის მთავრობის რწმუნება, და რომ კარახანმა უნდა ჩასთვალოს ჩინეთ-რუსეთის მოლაპარაკება დაუმთავრებლად და განაგრძოს ეს მოლაპარაკება. შემდეგ ველინგტონმა სთხოვა გადასცეს მოსკოვს ჩინეთის მთავრობის თხოვნა მოლაპარაკების მოსკოვში გაგრძელების შესახებ.

კარახანის პოზიცია მტკიცეა.

კარახანმა უარყო წინადადება, განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ უკვე გამოსთქვა თავისი თვალსაზრისი უკანასკნელ ნოტაში ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრისადმი და ხაზი გაუსვა, რომ მას არ შეუძლია ჩაერიოს ჩინეთის მთავრობის ოფიციალურ დელეგატს— ვანსა და გარეშე საქმეთა მინისტრის შორის არსებულ ურთიერთობის საქმეში, ვინაიდან ეს არის ჩინეთის შინაური საქმე. იმავე მიზეზით კარახანმა უარი სთქვა ველინგტონის შუამდგომლობის გადაცემაზე მოსკოვში.

საზოგადოებრივი წრეები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

უკანასკნელ ამბების გამო კარახანმა ინახულა სხვადასხვა საზოგადოებრივ და სტუდენტთა ორგანიზაციის დელეგაციები, რომლებმაც **სთხოვეს მას დარჩეს ჩინეთში მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ და უარი სთქვას სამი დღის ვადის მოთხოვნაზე, რათა ჩინეთის ხალხს, რომელიც სცდილობს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენას, ჰქონდეს საკმაო დრო ჩინეთის მთავრობაზე ზეგავლენის მოსახდენად.** კარახანმა უპასუხა, რომ მას არა აქვს განზრახული დაუყოვნებლივ დასტოვოს ჩინეთი და ის იმოქმედებს საბჭოთა მთავრობის ინსტრუქციების მიხედვით, რომელ მთავრობასაც ის გადასცემს დელეგაციის სურვილს.

ბრძოლა მთავრობის შიგნით.

პეკინის საზოგადოებრივ წრეებში **დიდი მღელვარებაა. იმართება მიტინგები და ვრცელდება პროკლამაციები, რომლებშიაც მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.** უ-პეი-ფუ მთავრობისათვის გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვს საბჭოთა კავშირთან მიღწეულ შეთანხმებაზე დაუყოვნებლივ ხელისმოწერას და აღნიშნავს, რომ ის გულდასმით გაეცნო შეთანხმების პროექტს და მის დამატებას და „სავსებით დამაკმაყოფილებლად სთვლის მას, ვინაიდან ეს შეთანხმება დამყარებულია მხარეების თანასწორობის პრინციპზე“. **ახლოვე დეპეშები გაუგზავნეს მთავრობას ჩინეთის სხვა ცნობილმა მოღვაწეებმა.** ჩინეთის კაბინეტის შიგნით დაწყებულმა ბრძოლამ გამოიწვია მთავრობის გადაწყვეტილება გააუქმოს რუსეთ-ჩინეთის კომისია, გადააყენოს ვანი და განაგრძოს მოლაპარაკება კარახანთან უშუალოთ ველინგტონის საშუალებით.

რუსეთ - ინგლისის შეთანხმებისათვის

ამხ. ჩიჩერინის განმარტებანი.

მოსკოვი. 28 მარტი. ინგლისის პრესა იუწყებოდა თითქოს ჩიჩერინი ილაშქრებდეს საბჭოთა კავშირში ო'გრედის ინგლისის ელჩათ დანიშვნის წინააღმდეგ. ოფიციალურად ცხადდება, რომ ეს ცნობები სიმართლეს არ შეეფერება. ო'გრედის კანდიდატურა ოფიციალურად არ წამოუყენებია ინგლისის მთავრობას, ამიტომ წინააღმდეგობას ადგილი არ ექნებოდა. ამასთანავე ამხ. ჩიჩერინს, ჰქონდა რა მას ოფიციალური ცნობები ინგლისის მთავრობის სურვილის შესახებ დანიშნოს საბჭოთა კავშირში ინგლისის ელჩად ო'გრედი, არასოდეს, არავისთან არაფერი არ უთქვამს ო'გრედის კანდიდატურის წინააღმდეგ.

დანია

საბჭოთა კავშირის ცნობის მოლოდინში

კოპენჰაგენი. 20 მარტი. „პოლიტიკენი“ იუწყება, რომ დანიის მიერ საბჭოთა ცნობის საკითხი მახლობელ დღეებში გადაიჭრება.

მექსიკა

მექსიკის პარლამენტის დეპუტატი მოსკოვში.

მოსკოვი. 22 მარტი. მექსიკიდან მოსკოვში ჩამოვიდა პროფესორი რაფაელ რამონ პედრუეცა—მექსიკის პარლამენტის დეპუტატი; **მისი ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრების გაცნობა.**

პოლონეთი

რუსეთ-პოლონეთის კონფერენცია.

მოსკოვი. 22 მარტი. **გაიხსნა რუსეთ-პოლონეთის კონფერენცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საკონსულო კონვენცია საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის.**

საფრანგეთი

მოწვევა საერთაშორისო მუსიკალურ კონგრესზე.

ლენინგრადი. 22 მარტი. ლენინგრადის კონსერვატორიამ და სახელმწიფო ფილარმონიამ მიიღეს მოწვევა საერთაშორისო მუსიკალურ კონგრესზე, რომელიც შესდგება ივნისში პარიზში.

ბესარაბიის საკითხი

სიმართლე არ დაიმალება.

ვენა. 20 მარტი. რუმინეთის მთავრობის ორგანო „ადევერული“ იუწყება, რომ რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს რეპრესიულ ზომებს მიმართოს გაზეთ „სოციალიზმის“ და ზოგიერთ ბურჟუაზიულ გაზეთებისადმი რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობების გამოქვეყნებისათვის, საბჭოთა კავშირში ბესარაბიელების დემონსტრაციების და ბესარაბიის მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიმართ მეგობრულ ცნობების მოთავსებისათვის.

პოლონეთის ამბები

ნაწილობრივი საპროტესტო გაფიცვა სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ

ვარშავა. 20 მარტი. ნახშირის რაიონში დაიწყო ნაწილობრივი საპროტესტო გაფიცვა სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ.

სიძვირესთან ბრძოლის კომისარიატის გაუქმება.

ვარშავა. 20 მარტი. ეკონომიის მიზნით, მინისტრთა საბჭომ დაადგინა გააუქმოს სიძვირესთან ბრძოლის კომისარიატი.

უმუშევრობასთან „ბრძოლა“.

ვარშავა. 20 მარტი. სეიმმა მიიღო კანონ-პროექტი უმუშევრების უზრუნველყოფის შესახებ, რომელშიაც გათვალისწინებულია მხოლოდ იმათი უზრუნველყოფა, რომლებმაც სამუშაო დაჰკარგეს ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. ამ რიგად ამ ჟამად არსებულ 250,000 უმუშევარს ესპობა დახმარების მიღების უფლება.

დათხოვნილია 70 000 მოხელე.

ვარშავა 20 მარტი მინისტრთა საბჭომ პოლონეთში დაადგინა დაითხოვოს 70,000 სახელმწიფო მოხელე.

რა ხდება გერმანიაში

გერმანიის მრეწველების მუშაობა უცხოეთში.

ბერლინი. 20 მარტი. გერმანიის მრეწველები აფართოებენ მუშაობას უცხოეთში. მაგალითად, კრუპს, რომელსაც უდიდესი მეტალურგიული ქარხნები აქვს ცენტრალურ ამერიკაში და ესპანეთში, განზრახული აქვს მოაწყოს ჩილში რამოდენიმე დიდი მეტალურგიული ქარხანა.

პირველი მაისის დღესასწაული.

ბერლინი. 20 მარტი. მეკლენბურგის ლანდტაგმა მიიღო ნაციონალისტების წინადადება **პირველი მაისის დღესასწაულის გაუქმების შესახებ. პროტესტის ნიშნად კომუნისტებმა იმღერეს ინტერნაციონალი.**

კომუნისტი დეპუტატი რელე სხდომის დარბაზიდან გაყვანილ იქნა პოლიციის მიერ.

მდგომარეობა სპარსეთში

საკითხი სახელმწიფოებრივ წესწყობილების შეცვლის შესახებ.

სპეციალურ კომისიის დადგენილება

თეირანი. 20 მარტი. მეჯლისის მიერ არჩეულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც იხილავდა საკითხს სახელმწიფოებრივ წესწყობილების შეცვლის შესახებ, გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1) ეხლანდელი მეჯლისი არ არის კომპეტენტური გადასჭრას საკითხი რეჟიმის ცვლილების შესახებ, და

2) რეჟიმის შეცვლა უნდა მოხდეს საყოველთაო ხმის მიცემით. კენჭის ყრამ უნდა გამოარკვიოს ორი საკითხი: სურს თუ არა ხალხს განახორციელოს რეჟიმის ეს შეცვლა და ვის ანდობს ამ შეცვლის მოხდენას, ან მხარს უჭერს თუ არა დამფუძნებელ კრების მოწვევას.

ნაციონალისტების წინადადება

თეირანი. 20 მარტი. მრავალრიცხოვან მიტინგზე ნაციონალისტების ლიდერმა ხალისიმ წარადგინა წინადადება მოეთხოვოს მეჯლისს პირადი ხელშეკრულების დაცვა, მეჯლისიდან **ყველა ანგლოფილ-დეპუტატების განდევნა და დაუყოვნებლივ დამფუძნებელ კრების მოწვევა.** ხალისის სიტყვას დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ.

სამხედრო აჯანყება ირლანდიაში

ბერლინი. 22 მარტი. მდგომარეობა ირლანდიაში, სამხედრო აჯანყების გამო, ჯერ კიდევ გამოურკვეველია. მთავრობამ განუცხადა პარლამენტს, რომ დუბლინში **მყოფ ჯარში ადგილი აქვს პარტიულ უთანხმოებას.**

ლონდონი. 22 მარტი. ო'ჰიგგინს-

ფორმალურათ შტატების შემცირება, ნამდვილათ კი ხარჯების გადიდება

ვინ იცის რამდენს ვლაპარაკობთ კრებებზე, ვსწერთ გაზეთებში უმუშევრობაზე და იმ ზომებზე, რომელიც მის წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული უმუშევართა რიცხვის შესამცირებლად, წარმოებაში მათ დასაბანდებლად. მაგრამ საკითხი მაინც ერთ დონეზე სდგას და წინ ვერ მივიწევთ: **შტატების შემცირება გრძელდება, ხარჯები კი იზრდება.** მიზანი კი შტატების შემცირების არის საბჭოთა ორგანიზაციების არასასურველ ელემენტებისაგან გაწმენდა და ხარჯების შემცირება. ვატარებთ ამას სინამდვილეში? შეიძლება ითქვას, რომ არა.

შემცირდება თუ არა რომელიმე დაწესებულებაში შტატები, მაშინვე იწყება ლაპარაკი ჩვენს ადგილკომებში ზედმეტი მუშაობის შემოღების შესახებ, ან ზედმეტი საათების მუშაობა საღამოობით—სისტემატიურ ხასიათს ღებულობს. ავიღოთ ეკონომიური ორგანიზაციები: „ვსეკომბანკი“, წარმოკავშირი, „მეწყემსი“, „ცეკავშირი“ და სხვ. საკმარისია, ამ ორგანიზაციებში ფეხი შეგიცდეთ თქვენ საღამოობით, რომ დარწმუნდეთ ზემოდ თქმულში. ჩვეულებრივად, როგორც დღე მუშაობენ, ისე საღამოს. ამაში კი ღებულობენ ორმაგ საფასურს, რადგან ზედმეტი მუშაობას ეწევიან. ამ ზედმეტს კიდევ ე. წ. „დატვირთვა“ (нагрузка) ემატება. ამრიგად თანამშრომლის ჯამაგირი ერთი სამად იზრდება. ან კიდევ, შემცირდება თუ არა შტატი რომელიმე დაწესებულებაში, „შემოკლებული“ აუცილებლად შოულობს რეკომენდატორს და ეწყობა მეორე დაწესებულებაში. ასეთი მაგალითები უამრავია. სასურსათო კომისარიატიდან დათხოვნილები ცეკავშირში ეწყობიან, ცეკავშირში შემცირებულნი კი წარმოკავშირში. ამ დროს სამ ხალხს ეძლევა სალიკვიდაციო ჯილდო, მეორე დღეს კი სამსახურში ეწყობა. ასეთია პრაქტიკა ჩვენი შტატების შემცირებისა დღემდის. ის სავსეა უარყოფითი მხარეებით. მან პირდაპირ მიგვიყვანა ხარჯების ერთი ორად გადიდებამდი.

საჭირო არის თუ არა გამოვიყენოთ ეს გამოცდილება? ცხადია, რომ საჭიროა. როგორ მოვიქცეთ?

პირველი—საჭირო არის დღეიდან აიკრძალოს ზედმეტი მუშაობის წარმოება და ზედმეტი საათები საღამოობით, თუ ასეთი სადმე სწარმოებს; ის იმას ამტკიცებს, რომ სამუშაო ყოფილა და შტატის შემცირება მომხდარა არა მიზანშეწონილად.

დაწესებულებებში, სადაც ზედმეტი საათობით მუშაობენ, საჭირო არის გამოირკვეს მიზანშეწონილობა ასეთის. და, თუ აღმოჩნდება, რომ საჭირო არის, მაშინ უნდა შეწყდეს ეს ზედმეტი მუშაობა, რომელიც ჯილდოვდება ერთი-ორათ და მის მაგიერად მოხდეს დაწესებულების შევსება თანამშრომლით. ამით ჩვენ მივაღწევთ ხშირათ „გამოგონებული“ ზედმეტი საათების მუშაობის გაუქმებას,—უმუშევართა ხარჯების რიცხვის შემცირებას და შემოკლებასაც.

დღეს კი ასე ხდება: თუ რომელიმე დაწესებულებაში ერთი ან ორი თანამშრომელი შევამცირეთ, მის მაგიერ საღამოს სამი მუშაობს. რიცხვი ფორმალურად შემცირდა, ფაქტიურად კი ხარჯები დარჩა ან გადიდდა კიდევაც.

ამიტომ ჩვენ უნდა მივაღწიოთ ფაქტიურად შტატების შემცირებას.

დღეს აქა-იქ ასეთი მდგომარეობა არის: ვინმე თანამშრომელს მოეპრიანება ქეიფი, „დროს გატარება“, მაშინვე ის იგონებს ზედმეტ სამუშაოს, დაწესებულება შეცდომაში შეჰყავს და ფულებს ღებულობს ან კიდევ დღისით ზარმაცობს, საქმეს კარგად არ ეკიდება, უნარს არ იჩენს და საღამოსათვის იტოვებს სამუშაოს.

მოკლედ—ზედმეტი საათების „გამოგონება“ სავსეა უარყოფითი მხარეებით. ის აჩვევს ბევრგან ლაზღანდარობას თანამშრომელს, რყვნის მას. და, რასაკვირველია, დაწესებულებისათვისაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

საჭირო არის ამ სენის წინააღმდეგ მიღებულ იქნეს გადამჭრელი ხასიათის ზომები.

მ. ცინცაძე.

მა, ირლანდიის „თავისუფალი" სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა მაკმაგონმა უარი სთქვა გადადგომაზე. სამხედრო აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე გენერალ-კვარტმეისტერი, რამაც აძულა თავდაცვის მინისტრი გენერალი მულკაჰი გადამდგარიყო, ოჰიგგინსმა განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა პარასკევამდის გააგრძელოს ვადა, რომლის განმავლობაში მიღებული იქნება განცხადებები აჯანყებაში მონაწილე ოფიცრების დანებების შესახებ.

სხვადასხვა ამბები

ამერიკა

რუსეთ-ამერიკის ექსპორტი და იმპორტი.

ნიუ-იორკი. 20 მარტი. ვაჭრობის სამინისტრო იტყობინება, რომ შემოტანა საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში მიმდინარე წლის იანვარში გაიზარდა 1,152,000 დოლ. 56.000 დოლ წინააღმდეგ, რომელიც იყო 1923 წ იანვარში. შემოტანამ 1923 წლის უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში მიაღწია 1,680,000 დოლ. 300,000 დოლ. წინააღმდეგ, რომელიც იყო 1922 წ. იმავე პერიოდში.

ამასთანავე შეტანა საბჭოთა კავშირში ამერიკიდან 1923 წ 7 თვის განმავლობაში გამოიხატა 1,352,000 დოლ. 8,186,000 დოლ. წინააღმდეგ, რომელიც იყო 1922 წ. იმავე პერიოდში.

შემცირება აიხსნება დამშეულთათვის ტვირთების გაგზავნის შეწყვეტით.

ლ ი ტ ვ ა

ებრაელების საქმეთა სამინისტროს ლიკვიდაცია.

კოვნო, 20 მარტი. სეიმმა დაადგინა გააუქმოს ებრაელების საქმეთა სამინისტრო.

შვეიცარია

რესპუბლიკა ხელს უწყობს მკვლელებს.

ბერლინი. 20 მარ. შვეიცარიის გაზეთების ცნობებით, ვოროვსკის მკვლელმა—კონრადიმ შვეიცარიის ერთ-ერთ კანტონის დამზღვევ საზოგადოებაში მიიღო პირველი ინსპექტორის თანამდებობა.

გაზეთი „რესპუბლიკანიშე" ირონიულათ შენიშნავს, რომ შვეიცარიის ხელისუფლებას, ალბათ, უნდოდა საშუალება მიეცა კონრადისათვის გადაეხადა სასამართლოს საკმაოდ დიდი ხარჯები და ჰონორარი დამცველებისათვის.

ჩეხო-სლოვაკია

ბერლინი. 20 მარტი. გერმანიის პრესა განაგრძობს მტკიცებას, რომ „ბერლინერ ტაგებლატში" გამოქვეყნებული ჩეხო სლოვაკიის და საფრანგეთის შეთანხმების ოქმი არის ნამდვილი დოკუმენტი. იუწყებიან, რომ ახლო მომავალში გამოქვეყნებული იქნება ახალი ცნობები.

ბუ

ინგლისი

ლონდონის ტრამვაის მუშების გაფიცვა.

ლონდონი 20 მარტი. ტრამვაის მუშათა და მეწარმეებელთა შორის შრომის მინისტრის მონაწილეობით წარმოებულ მოლაპარაკების შეწყვეტის გამო (მოლაპარაკება ეხებოდა ხელფასის მომატებას) 21 მარტს ღამით შესწყდა ლონდონის ტრამვაის და ავტომობილების მოძრაობა.

გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 40,000 კაცი.

ბულგარეთი

მუშათა პარტიის მასიურ კრების გარეკა.

ვენა. 20 მარტი. სოფიის პოლიციამ გარეკა მუშათა პარტიის მასიური კრება, რომელიც გაიმართა პარტიის განზრახულ დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

სამხრეთ სლავია

ბრძოლა ბულგარეთის კომიტაჯების წინააღმდეგ.

ვენა. 20 მარტი. სამხრეთ სლავიის და საბერძნეთის სარდლობის შორის მიღწეულია შეთანხმება ბულგარეთის კომიტაჯების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ი ა პ ო ნ ი ა

სახიფათო ეკონომიური მდგომარეობა.

ვლადივოსტოკი. 22 მარტი. გაზ. „ოსაკა მაინიჩი" სწერს: „იაპონიის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა ფრიად სახიფათოა. ახალ 500 მილიონ. იენის სესხიდან, რომელიც იაპონიას მისცეს ინგლისმა და ამერიკამ, პროცენტების გამოკლებით იაპონიამ მიიღო მხოლოდ 480 მილ. იენი.

იაპონია დღეს წარმოადგენს ფაქტიურად მესამე და თითქმის მეოთხე ხარისხოვან სახელმწიფოს. მიწისძვრისაგან მიყენებული ზარალი უდრის 7 მილიარდ იენს. საერთაშორისო კაპიტალის ნდობა იაპონიისადმი დღითი-დღე მცირდება. იენის კურსი ეცემა, მაშინ, როდესაც საქონლის ფასები მატულობს. წარმოება განუწყვეტლივ ეცემა.

პროფინტერნში

პროფინტერნის მოწოდება პალესტინის მშრომელ არაბებისადმი

პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მიმართა მოწოდებით პალესტინის მშრომელ არაბებს. პროფინტერნი, აღნიშნავს რა მუშა-არაბების შრომის აუტანელ პირობებს, მოუწოდებს მათ შეკავშირდენ, ვინაიდან შეუკავშირებლობა არის მათი დაუბოლავებელი ტანჯვის წყარო.

მშრომელი არაბი კაპიტალისათვის არის მხოლოდ სახედარი. კაპიტალისტები შეუბრალებლად ყვლეფენ ქალების და ბავშვების შრომას პალესტინაში, სადაც საერთოდ არ არის შრომის დაცვის კანონები; არაბი მუშა ორჯერ უფრო მეტს მუშაობს, ვინემ ებრაელი, და ღებულობს უკანასკნელზე ორჯერ ნაკლებს.

სახელმწიფოში არსებული ებრაელ მუშების და წვრილ მესაკუთრეების ორგანიზაცია —„გისტადრუტ მაკლოლიტ"-ი ემსახურება სიონიზმის ინტერესებს, ესე იგი ებრაელ ბურჟუაზიის და მასთვის უცხოა როგორც ებრაელ, ისე არაბ მუშების ინტერესები.

წითელი პროფინტერნი მოუწოდებს მშრომელ არაბებს მოაწყონ პროფესიონალური კავშირები, ბრძოლის ორგანიზაციები, სადაც უნდა შედიოდენ ყველა პროფესიის მუშები, მიუხედავად ეროვნებისა.

პალესტინაში პროფინტერნს ჰყავს უკვე თავის მომხრეები. ეს არის გისტადრუტის მუშათა ფრაქცია. ის უკვე დიდი ხანია იბრძვის არა ნაციონალურ—ებრაულ, არამედ საერთო პროლეტარულ ინტერესებისათვის და ცდილობს დაიჭიროს კავშირი არაბ პროლეტარებთან.

მოწოდება თავდება შემდეგი მიმართვით: „მშრომელო არაბებო! ინგლის-სიონისტურ კაპიტალის მჭიდრო კავშირს ადგილობრივ შეიხებსა და ეფენდიებთან თქვენ უნდა დაუპირისპიროთ რევოლიუციონურ მუშათა ძმური კავშირი.

მუშაობისაკენ—ორგანიზაციაში"!

მდგომარეობა პოლონეთში

აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება პოლონეთის მდგომარეობის შესახებ.

1923 წლის დასასრულს მემარჯვენე პარტიების მთავრობა დაეცა. ამის მიზეზი იყო კრაკოვის აჯანყება და გლეხობის წინააღმდეგობა.

ამჟამად პოლონეთში არის გრაბსკის ჩინოვნიკური მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერენ ყველა პარტიები, თვით პოლონეთის სოციალისტური პარტიაც. გაბედულ ზომების საშუალებით გრაბსკის კაბინეტმა პირველ ხანებში შესძლო ნაწილობრივ გაუმჯობესების მიღწევა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაში. იანვარში მოხდა მარკის სტაბილიზაცია, მაგრამ მიღწევას მოჰყვა ფასების აწევა საქონელზე. შეიქმნა ისეთივე მდგომარეობა, როგორსაც ადგილი აქვს ამჟამად გერმანიაში. ყველა საწარმოო დაწესებულებების თითქმის ნახევარი არ მუშაობს, ვინაიდან საქონელი ძალიან ძვირი აღმოჩნდა ექსპორტისათვის. მეორე მხრით ფულის უზომო სიმცირე აფერხებს საქონლის გასაღებას შინაურ ბაზარზე.

შექმნილმა კრიზისმა გამოიწვია დიდი უმუშევრობა, 8 საათის სამუშაო დღის საწინააღმდეგო კამპანიის გაძლიერება და რეალური სამუშაო ხელფასის საგრძნობლად შემცირება.

პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელსაც თავის ხელში უპყრავს პროფკავშირების სათავე, ამ მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, მხარს უჭერს გრაბსკის მთავრობის ფინანსიურ ზომებს და უარს ამბობს ყოველგვარ ბრძოლაზე.

ამ ჟამად პოლონეთში დაიწყო კამპანია ერთიანი ფრონტის შესაქმნელად ქვევიდან, შემთანხმებელ—ბელადების დაუკითხავად, მუშათა საყოველთაო ყრილობის მოწვევის გზით.

ეს კამპანია ტარდება ლოზუნგით: 8 საათის სამუშაო დღის და რეალური სამუშაო ხელფასის შენარჩუნება და უმუშევართათვის დახმარების მიცემა.

მოხსენება, როგორც ინფორმაციული, მიღებულია აღმასრულებელ ბიუროს მიერ ცნობათ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მუშათა გაზეთი.

ეკატერინოსლავი. 21 მარტი. 20 მარტს გაზ. „ზვეზდა"მ გამოუშვა საიუბილეო მე 500-ე ნომერი, მხოლოდ მუშკორების ძალებით.

გაზეთებში მუშაობს 400 მუშა.

საბითუმო ფასების დაკლება ფქვილზე

მოსკოვი. 21 მარტი. ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ 18 მარტს ისევ დასწია საბითუმო ფასები ფქვილზე 20 კაპ რაოდენობით თვითეულ ფუთზე.

18 მარტის დღესასწაული საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 21 მარტი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები 18 მარტს—პარიზის კომუნის დღის დღესასწაულის შესახებ. მრავალრიცხოვან კრებებზე მოხსენებას აკეთებდენ რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, სწარმოებდა ახალი წევრების მიღება და არსდებოდა რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი უჯრედები.

ტიხონის საქმის მოსპობა

მოსკოვი. 22 მარტი. მიიღო რა მხედველობაში, რომ მოქალაქე ბელავინმა, ყოფილმა პატრიარქმა ტიხონმა საჯაროდ აღიარა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ბოროტმოქმედებები და აგრეთვე ის, რომ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს შორის შემჩნეულია ძლიერი ლტოლვა რელიგიურ ცრუმორწმუნეობის მაგივრად მეცნიერებისა და განათლებისაკენ, რითაც ეკლესიის გავლენა ფართო მასებზე მეტის-მეტად შესუსტებულია, ასე რომ ბელავინი და მასთან ერთად პასუხისგებაში მიცემული მოქალაქეები — ფინომენოვი, სტადნიცკი და გურიევი არ შეიძლება იყონ სოციალურად საშიში ელემენტები საბჭოთა ხელისუფლებისათვის,—საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოსპოს აღნიშნული მოქალაქეების საქმე.

უმუშევართა გამოყენება საზოგადოებრივ ხასიათის სამუშაოებზე

მოსკოვი. 22 მარტი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი ადგილებისათვის დაგზავნილ ცირკულიარში აღნიშნავს, რომ უმუშევრობამ ფართო ხასიათი მიიღო. შრომის ბირჟის წინაშე სდგას ამოცანა აქტიური გახდეს მუშა ხელის გამოყენების საქმეში. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა გამოყენებული იქნეს სავსებით გაზაფხული და ზაფხული უმუშევართათვის მუშაობის მისაცემათ საგლეხო მეურნეობაში და კომუნალურ მეურნეობაში, უმუშევარი ინტელიგენტები კი გამოყენებული უნდა იქნენ სასოფლო-სამეურნეო ხარკის გადამხდელთა სიების შედგენის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და სხვა.

შრომის საგუბერნიო განყოფილებებს ევალებათ პროფკავშირებთან და სამეურნეო ორგანოებთან ერთად შეიმუშავონ უმუშევართან ფართოდ გამოყენების გეგმა, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. შრომის სახალხო კომისარიატი მოითხოვს, რომ შრომის ორგანოების ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ დაკვრითი წესით იქნეს გატარებული.

ფულის რეფორმის გარშემო

საჭიროა სასტიკი თვალყურის დევნება შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებათა შესრულებისათვის.

საუბარი ამხ. სმილგასთან.

მოსკოვი. 22 მარტი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს შრომის და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულმა სიძვირესთან ბრძოლისათვის მოსკოვ ლენინგრადის რაიონში ამხ. სმილგამ აღნიშნა, რომ ფასების დაწევა განსაკუთრებით საგრძნობია პურზე. ფასები ხორბალზე დაეცა 30—35 პროცენტით. დაწესებული პურის ფასები არ არის საზარალო გლეხობისათვის, ვინაიდან ამავე დროს მოხდა ფასების დაწევა მრეწველობის ნაწარმოებზედაც. ამასთან ერთად პურის ფასებიც ჯერ კიდევ რამოდენიმეთ უფრო მაღალია ომის წინანდელ ფასებთან შედარებით.

ფასების დაწევამ პურის პროდუქტებზე გამოიწვია საბაზრო ფასების დაწევა ცხოველების ცხიმზე, კვერცხზე და რძეზე, პურის და ფქვილის ამაზე მეტი გაიაფება არ შეიძლება და ჯერ საჭიროც არ არის. პირველხარისხოვან ამოცანას შეადგენს ფასების დაწევის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა შესრულებისათვის თვალყურის დევნება. ამ საქმეში უნდა ჩაებან დაბალი საფეხურის კოოპერატიული იაჩეიკები.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო კომისია

მოსკოვი. 22 მარტი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაარსა სავაჭრო კომისია, რომლის ამოცანას შეადგენს სავაჭრო აპარატის გაუმჯობესება, ფასების მოწესრიგება, მეთვალყურეობა ბაზრისათვის სახელმწიფო მრეწველობის პროდუქტების მიწოდებაზე, სინდიკატების და სახელმწიფო ორგანოების სავაჭრო მუშაობის ხელმძღვანელობა, ნედლი მასალის გასაღების და დამზადების რაიონების განაწილება, სახელმწიფო საბითუმო და საწვრიმალო ვაჭრობის დაახლოვება და კავშირის დამყარება დაბალი საფეხურის კოოპერაციასთან.

სახაზინო ბილეთების დამატებითი გამოშვება.

მოსკოვი. 22 მარტი. ხურდა ფულის სიმცირესთან დაკავშირებით, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო სახაზინო ბილეთების დამატებითი გამოშვება 25 მილიონ ოქროს მანეთის რაოდენობით. ეს განსაკუთრებით აუცილებელია საბჭოთა ფულების და სატრანსპორტო სერთიფიკატების გამოსყიდვასთან დაკავშირებით. ეს საკითხი გადაეცა განსახილველად საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს.

ფასების დაწევა მარილზე.

მოსკოვი. 22 მარტი. მარილის სინდიკატმა დაუკლო მარილის ფასს ორი კაპეიკი ფუთზე.

ტრესტები ადვილად ასაღებენ თავიანთ ნაწარმოებს.

მოსკოვი. 22 მარტი. მოსკოვის ტრესტების უმრავლესობა დაუბრკოლებლად ასაღებს თავის პროდუქტებს.

საღებავების გაიაფება

მოსკოვი. 22 მარტი. ქიმიური მრეწველობის ტრესტმა შეამცირა ფასები საღებავებზე 30 პროც., სიმჟავეებზე—10 პროც.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

მუშკორების კონფერენცია.

ბათომი. 20 მარტი. კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივისცა პარიზის კომუნარების ხსოვნას. პრეზიდიუმს დაევალა შეიმუშაოს ადგილობრივ გაზეთების რედაქციებისათვის გასაგზავნ მილოცვის ტექსტი. ამხ. პავჩინსკი მოხსენებაში „პრესა და მისი ამოცანები" იტყობინება, რომ „მშრომელმა ბათომმა" გადალახა ყველა დაბრკოლებები და ეხლა დადგა მტკიცე ნიადაგზე. ტირაჟი ერთი ორათ გაიზარდა. მუშკორების მონაწილეობის წყალობით გაზეთი ახლო მიუდგა მუშა-მკითხველებს.

აზერბეიჯანი

კედლის გაზეთები.

ბაქო. 20 მარტი. კედლის გაზეთი საუკეთესო საშუალებაა პროპაგანდის მოსაწყობათ მსხვილ ცენტრებში. კედლის გაზეთების რიცხვი ყველა რაიონებში აღწევს 250. ბაქოს კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება ახლო მომავალში აწყობს კედლის გაზეთების გამოფენას.

ილიჩის ფონდში.

ბაქო. 20 მარტი. სურახანის ნავთსადენის მუშებმა გადადვეს ილიჩის ფონდში ნახევარი დღის ჯამაგირი, ზოგიერთებმა ერთი დღის. მუშების აზრით საუკეთესო ძეგლი ილიჩისათვის იქნება სკოლები და საბავშვო სახლები.

პარტიული ცხოვრება

ამხ. ბიქტორ სიხარულიძის საქმე.

ორშაბათს, 24 მარტს საღამოს 6 საათზე ცენტრალური პარტიული კლუბის შენობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ დანიშნულია ბიქტორ სიხარულიძის საქმის გარჩევა.

აუცილებელია შემდეგი ამხანაგების დასწრება:

1) ჯავაირა ხუტულაშვილი, 2) ელენე წულუკიძე, 3) ვასო წივწივაძე, 4) ლევან მიროტაძე, 5) ნიკ. ოკუჯავა, 6) სანდრო თუმანოვი, 7) დიმიტ. გოჩელეიშვილი, 8) სერგო მეგრელიშვილი, 9) ალ. ჩეჩელაშვილი, 10) ვ. ალნიაშვილი, 11) ნ. ზავარიანი, 12) გიორგი როველაძე, 13) სტ. ზაქრაძე, 14) მ. მათიკაშვილი, 15) თ. ჟღენტი, 16) მ. ორახელაშვილი, 17) ს. გეგეჭკორი, 18) გ. სტურუა, 19) გ. ჩხეიძე, 20) გ. ლელაშვილი, 21) ბ. ბიბინეიშვილი, 22) ნიკ. სოკოლოვსკი, 23) ვირაპი, 24) აკ. თათარიშვილი, 25) ლადო სუხიშვილი, 26) ფ. მახარაძე, 27) კ. ცინცაძე, 28) ლ. დუმბაძე, 29) კაჰაყმაძე—საქართველოს ცაკის საქმეთა მმართველი და თვითონ ბ. სიხარულიძე.

სასამართლო იქნება საჯარო და საქმის გარჩევას შეუძლიათ დაესწრონ პარტიული ამხანაგები.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ფართო უპარტიო კონფერენციის გახსნა მოხდება ორშაბათს 24 მარტს საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრში.

სტუმრებათ მოწვეულნი არიან პროფკავშირების გამგეობების წევრები, პროფსაბჭოს პლენუმის და ადგილკომის წევრები.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება სამშაბათს, 25 მარტს, დილის 11 საათზე, ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ოთახში იწვევს

საორგანიზაციო კოლეგიის სხდომას.

სავალდებულოა ამხ. სტურუას, მაშკევიჩის, კიდაშის, ბ. პენიაკოვის, ლომიძის (ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტი), ტერ-კარაპეტოვის, ლიონჩინსკის, ვახმანის, ბარსეგოვის, გვალიას და კუკულაძის გამოცხადება აღნიშნულ დროს.

მოწვეულნი არიან რაიკომების საორგანიზაციო განყოფილებების გამგეები და ინსტრუქტორები.

რაიკომების აღმასრულებელ სეკრეტარიატის განყოფილების გამგეები ამხ. ბარსეგოვი, კორეივი, საჰკოვი და ისაკიანი მოწვეული არიან იმავე დღეს 12 საათზე 30 წუთზე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საშეფო კომისიების მუშაობის შესახებ.
2. დისკუსიის საკითხის შესახებ ტფილისის კომიტეტის მიერ შემუშავებულ კონკრეტიულ წინადადების მიხედვით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.
3. ტფილისის მაზრის რაიკომების მდივნების თათბირის შესახებ.
4. საწარმოვო თათბირების შესახებ.
5. რაიკომებში საინფორმაციო მუშაობის შესახებ.
6. ცირკულიარის განხილვა პარტიაში ახალ მიღებულთა მუშაობაში ჩაბმის შესახებ.
7. მიმდინარე საკითხები.

ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ნაზაროვი.

ორშაბათს, 24 მარტს, საღამოს 8 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში მოეწყობა ამხ. მიხაილინის ახალი რევოლიუციონური პიესის „Бабушка Рам"-ის კითხვა.

შესვლა თავისუფალია პარტიის წევრებისათვის.

სასურველია პარტიის წევრ-ლიტერატორების, ჟურნალისტების, პოეტების და მსახიობების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ 22 მარტისათვის დანიშნული ქალაქის რაიკომის პლენუმის სხდომა გადატანილია 24 მარტისათვის ორშაბათს დილის 10 საათზე.

რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა საკითხების მნიშვნელოვანობის გამო.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

ამხ. ვირაპის საქმე

საქართველოს კომპარტიის ც. კ. და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ განიხილეს ამხ. ვირაპის საქმე და შემდეგ დასკვნამდი მივიდენ: ამხ ვირაპი—პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი, რომელსაც უჭირავს მთელი რიგი საპასუხისმგებლო საბჭოთა თანამდებობანი (საბაჟო სამმართველოს უფროსი, გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი, გამომცემლობა „წითელი წიგნის" თავმჯდომარე, და სახელმწიფო კინომრეწველობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე) არღვევდა ქალაქში ავტომობილით მოგზაურობის შესახებ არსებულ წესებს და უკანასკნელ ხანებში თვითონ მართავდა ავტომობილს შოფერის ნაცვლად, რისი უფლება მას არ ჰქონდა.

19 მარტს მანქანას, რომელსაც მართავდა ამხ. ვირაპი, კატასტროფა მოუვიდა, რასაც შედეგათ მოყვა სამი მუშა-ქალის დაშავება. დანაშაული ამ კატასტროფის გამო სავსებით ამხ. ვირაპს ეკისრება.

ც. კ. და ცენტრალური საკონტროლო კომისია აღნიშნავს, რომ კატასტროფას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ამხ. ვირაპის მხრივ არავითარ ბოროტგანზრახვას ადგილი არ ჰქონებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვლის, რომ ამხ. ვირაპი, პასუხისმგებელი მუშაკის მდგომარეობის ბოროტათ გამოყენების და ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ ზნე ჩვეულებების შეთვისების გამო, უნებლიეთ გახდა მიზეზი კატასტროფის, რის გამო მან პასუხი უნდა აგოს სასამართლოს წინაშე.

ც. კ. და ცენტრალური საკონტროლო კომისია ხსნიან ამას ამხ. ვირაპის ერთნაირი მოწყვეტით პარტიის წრეებისა და მუშათა კლასისაგან და მასზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფითი შედეგების გავლენით.

ამის გამო საქართველოს კომპარტიის ც. კ. და ცენტრალური საკონტროლო კომისია ადგენს:

1. ამხ. ვირაპი მოიხსნას ყველა საპასუხისმგებლო, საბჭოთა და პარტიულ თანამდებობებიდან და
2. მისი საქმე გადაეცეს სასამართლოს საერთო წესით განსახილველად.

ს. კ. პ. ც. კ. პრეზიდიუმი.
ს. კ. პ. ც. ს. კ. პრეზიდიუმი.

ამხ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი. 22 მარტი. რუსეთის კომპარტიის ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ დაადგინა: ამხ. ლენინის დაბადების დღის — 22 აპრილის აღსანიშნავად მთელს საბჭოთა კავშირში წარმოებებში, კლუბებში და თეატრებში გამართულ იქნეს ლენინის ცხოვრების და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამოები.

ახალგაზრდობა—ახალი ცხოვრების მესაჭეა

მოსკოვი. 22 მარტი. რუსეთის ახკომკავშირის ცეკამ მიმართა ყველა ორგანიზაციებს წინადადებით ახკომკავშირის სოფლის იაჩეიკებმა ჩაატარონ სააღდგომო დღესასწაულები სოფლად შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „ახალგაზრდობამ უნდა წაიყვანოს სოფელი ახალი გზით". სოფლის ახკომკავშირის წევრებმა სააღდგომოდ უნდა მოაწყონ გონივრული გასართობები, საუბრები პოლიტიკურ და მეცნიერულ თემებზე და გასწიონ პროპაგანდა რელიგიის აღმოსაფხვრელად სოფლის სამეურნეო ყოფა-ცხოვრებიდან.

პარტიულ კლუბში

ცენტრალურ პარტიულ კლუბში დაიწყო მეცადინეობა ფრანგული ენის შესასწავლათ. უმცროსი ჯგუფი მეცადინეობს ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 7 საათზე, საშუალო ჯგუფი (საჭიროა იმის ცოდნა, რასაც გადიოდენ საშუალო სასწავლებლებში) ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე. ძლიერი ჯგუფი (რომელნიც თავისუფლათ ლაპარაკობენ ფრანგულ ენაზე) ოთხშაბათობით საღამოს 7 საათზე.

იმ ამხანაგებს, რომელთა სურთ ჩაეწერონ წრეებში, წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ აღნიშნულ დროისათვის კლუბში დაუყოვნებლათ.

კლუბის გამგეობა.

ალმასკომის ახალგ. კომკავშირის უჯრედში

ა/წ. 20 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგა უჯრედის სხდომა, ამხ. სვანიძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო საკითხები: უჯრედის წარმომადგენლის მუშაობის შესახებ ადგილკომში და მიმდინარე კითხვები. პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ ქვათელაძე, რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს ადგილკომში მუშაობას, მის დადებითი თუ უარყოფითი მხარეებს. მომხსენებელს აძლევდენ შემდეგნაირ შეკითხვებს: იყო თუ არა კოლექტიური ხელშეკრულება თქვენს მიერ გადმოტანილი უჯრედის სხდომაზე გასარჩევათ, როგორია კავშირი ცენტრალურ გამგეობაში მყოფ წარმომადგენელთან, კავშირი შრომის ბირჟასთან და აგრეთვე მდგომარეობა ადგილზე მყოფ უმუშევარ ამხანაგების. მომხსენებელმა ყველა კითხვებზე სათანადო პასუხი გასცა, კამათის და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ, რომელშიაც ჩვენი წარმომადგენლის მუშაობა ადგილკომში ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. უჯრედმა დაადგინა გაიგზავნოს ადგილკომში მორიგი წარმომადგენელი, რომელსაც დაევალოს, რათა კოლექტიურ ხელშეკრულებიდან პუნქტები, რომელნიც შეიცავენ ჩვენს და საერთოდ ახალგაზრდობის საკითხებს, გადმოტანილ იქნენ თავის დროზე უჯრედში, დაკავებულ იქნას უშუალო კავშირი შრომის ბირჟასთან, აგრეთვე ცენტრალურ გამგეობაში მყოფ კომკავშირის წარმომადგენელთან. ჩვენს უჯრედს ჰყავს წარმომადგენელი შრომის დაცვის კომისიაში, აგრეთვე კულტკომისიაში. დაახლოებით ასეთივე სურათია მეორე ალმასკომის კომუნალურ მეურნეობის ადგილკომშიც. კრების დასასრულ წამოყენებულ იქნა საკითხი უჯრედის განტვირთვის შესახებ იმ წევრებისგან, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ალმასკომთან. ბიუროს მიენდო, რათა მოხსნან ასეთები და შემდეგ უჯრედის სხდომაზე დამტკიცების შემდეგ გაიგზავნონ რაიკომის განკარგულებაში.

კომკავშირელი.

ხმა გურჯაანიდან (კახეთი)

გურჯაანში პარტიული მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებლათ დაყენებული. ამის უმთავრესი მიზეზი საკმაოდ მომზადებული ამხანაგების ნაკლებობაა. ჩვენ ვსწერთ უშველებელ ოქმებს, კვირეულების, კამპანიების ჩატარებას დიდის გულმოდგინებით ვეკიდებით,—მაგრამ საქმე კი სასურველი ტემპით ვერ მიდის წინ ჩვენივე მიზეზით. მარტო ლოზუნგები დეკლარაციულ ხასიათის რეზოლიუციები, პათოსიანი სიტყვები, – ეს არ არის ის, რაც გლეხისათვისაა საჭირო. სულ ერთია მას ესენი არ ესმის.

მას სხვა მხრივ უნდა მიდგომა, მათში მუშაობის სხვა გზა უნდა ავილოთ: მივიზიდოთ სამკითხველოებში, შევაყვაროთ მას ქოხ-სამკითხველო, ავამუშაოთ წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები, ვერიდნეთ რიხიან, უშინაარსო სიტყვების წარმოთქმას და ვაჩვენოთ გლეხობას მეტი საქმიანობა.

ყველა ამას მხოლოდ მომზადებული ამხანაგი შესძლებს. ჩვენ გლეხობაში დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხა ხდება; უპარტიო გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ დაარწმუნა ჩვენი იდეების მარადიულობაში და ისინი დიდი ნდობით უყურებენ ჩვენს პარტიას. უნდა ვისარგებლოთ ასეთი განწყობილებით და კიდევ მეტად უნდა გავაძლიეროთ პარტიული მუშაობა. ამისათვის კი საჭიროა კარგი ხელმძღვანელები. დღეს მასების ხანაა, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ ხელმძღვანელებს. მომზადებულ ამხანაგების დაგზავნა პროვინციის მთავარი პუნქტებში მორიგ ამოცანათ უნდა იქნას ცნობილი.

საუბარი ამხ. ბერიასთან

გოგიტა ფაღავას განცხადება

ჩვენმა თანამშრომელმა ინახულა საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკა) თავმჯდომარეს მოადგილე, საიდუმლო ოპერატიული ნაწილის გამგე ამხ. ბერია, რომელმაც საგანგებო კომისიის მიმდინარე მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

დაშლა საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიებისა, კერძოდ მენშევიკების, რომლებიც დაუკავშირდნენ სისხლის სამართლის დანაშაულობის ბანდიტებს და რომლებიც ამ ჟამად სრულიად უმნიშვნელო ჯგუფს წარმოადგენენ—დაშლა რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ გასულ წელს, რაც თავის დროზე აღნიშნული და გაშუქებული იყო ადგილობრივ და რუსეთის პრესის მიერ, ეხლაც გრძელდება და ღრმავდება.

მენშევიკური პარტიის გამოჩენილი ბევრი წევრები დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე. მათი სახელი ცნობილია ბევრისათვის. მათ რიცხვს ეხლა უნდა მივუმატოთ კიდევ **გოგიტა ფაღავა.**

15 თებერვალს დატუსაღებულმა, მენშევიკური არალეგალური ორგანიზაციების აქტიურმა ხელმძღვანელმა სამი წლის განმავლობაში, მებრძოლმა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, **გოგიტა ფაღავამ** 8 მარტის ჩვენებაში სიტყვა-სიტყვით განაცხადა შემდეგი:

„უკეთეს რა ჯობს იმას, რაც ჩვენ ვაკეთეთ 3 წლის განმავლობაში, უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ის საფუძვლები, რომლებზედაც ეყარებოდა ჩვენი პოლიტიკა, ამჟამად არარეალურია და ატარებენ ოცნებების ხასიათს; საქართველოს საკითხი ჰკარგავს საერთაშორისო მნიშვნელობას და ხდება რუსეთის შინა საკითხად; საბჭოთა კავშირის მდგომარეობა საბოლოოდ განმტკიცდა, როგორც შიგნით ისე საერთაშორისო მასშტაბით, ხოლო საქართველოში ჩვენი ფიქრები ხალხის აქტიურ ძალთა გამოყენების შესახებ, გადამეტებული აღმოჩნდენ. საქართველოში განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება. მე ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხის ინტერესები მოითხოვენ ძველი პოლიტიკის ლიკვიდაციას და უარის თქმას „ოკუპაციის" წინააღმდეგ ბრძოლაზე, საბჭოთა ხელისუფლების, როგორც ისტორიულად აუცილებლობის ცნობას. მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ საკითხს საბჭოთა რუსეთის შესახებ, რომლის ჩვენ გვეშინოდა როგორც თითქოს მატარებელის რუსული ნაციონალიზმის და „ველიკოდერჟავნიკობისა". ქართველი ხალხისათვის საბჭოთა რუსეთი უფრო მისაღებია, ვიდრე რომელიმე სხვა რუსეთი. ამიტომ მე აუცილებლად მიმაჩნია მთელი ძალღონით მხარი დაუჭირო საბჭოთა რუსეთს იმ ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებს რეაქციის და ინტერვენციის წინააღმდეგ

საქართველო ამ მხრივ საბჭოთა კავშირის ერთგული მოკავშირე უნდა გახდეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომავალშიც ბრძოლის გაგრძელებას მე ვთვლი ბრძოლათ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ".

ერთის მხრით როგორც ერთ საბუთი მენშევიკების პარტიის საბოლოო გახრწნის და მეორე მხრით, როგორც დამახასიათებელი დეტალი, რომელიც ხატავს ულოგიკობასა და აშკარა წინააღმდეგობას, რომელშიც გაიხლართენ მენშევიკები, შეიძლება მოვიყვანოთ მენშევიკების ც. კ. რწმუნებულის (თელავის მაზრაში)—ილარიონ რუხაძის განცხადება, რომელსაც თვით ავტორი „გულახდილ განცხადებას" უწოდებს.

კურიოზულია, მაგრამ ეს განცხადება დაწერილია მისი დატუსაღების მეორე დღეს.

„მე ვირიცხები,—სწერს რუხაძე,—სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრათ 1904 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში მე მდევნიდენ და მატუსაღებდენ მეფის ჯალათები. მე მრავალი ტანჯვა-წამება გამოვიარე, ბევრი გაჭირვება და შეურაცხყოფა ავიტანე, მაგრამ არასდროს არ დამისვამს კითხვა და არც მიფიქრია რწმენის გამოცვლაზე, პირიქით, ეს ტანჯვა-წამება მამხნევებდა და ახალ ძალებსა და ენერგიას მმატებდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე ბევრჯერ მიმიცია ჩემი თავისთვის კითხვა ამის შესახებ, მაგრამ დღემდე ეს კითხვა ვერ გადამიწყვეტია. ყოფილი მენშევიკების 25 აგვისტოს კონფერენციამ განსაკუთრებით დამაფიქრა მე, გავლენა მოახდინა ჩემზე აგრეთვე ჩვენი ლიდერის სეით დევდარიანის გამოსვლამ, მაგრამ განსაკუთრებით ჩამაფიქრა მე ჩემმა მოღვაწეობამ თელავის მაზრაში. საქმე იმაშია, რომ მენშევიკების არალეგალური ც. კ. დავალებით მე შევუდექი ორგანიზაციულ მუშაობას თელავის ორგანიზაციაში, მაგრამ ეს მუშაობა დამარცხდა და მე დამატუსაღეს. ამის შემდეგ მე ღრმად დავრწმუნდი, რომ ჩვენი მოქმედების ხაზი არ არის სწორი და მას არავითარი ნიადაგი არა აქვს. როგორც ჩვენ, ისე საქართველოს მშრომელთ ერთი გამოსავალი აქვთ, ეს გამოსავალი არის—სეით დევდარიანის პლატფორმაზე გადასვლა.

ამიტომ მე გულწრფელად, ვისმე წინადადების გარეშე ვწყვეტ კავშირს არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან და გადავდივარ სეით დევდარიანის პლატფორმაზე და ამასვე ვურჩევ ჩემს დანარჩენ ამხანაგებსაც. ჩვენ გარკვეული ენერგიით უნდა ვიმუშაოთ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ კომინტერნის დროშის ქვეშ, რათა ამით გამოვისყიდოთ ამდენი ხნის უმოქმედობა".

გ. ფ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(23—24 მარტი)

ჩერვონცები —	18.000	მილ.
გირვ სტერლინგ ეფექტ.	15.030	„
„ ჩეკები —	14 220	„
დოლარი ეფექ. —	8510	„
„ ჩეკები —	8230	„
ოსმ. ქაღ. ლირა —	2000	„
იტალიური ლირა —	145	„
ფრანგული ფრანკი —	170	„

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(23 მარტი)

ოქროს მანეთი 1.800,000 მილ.

მუშკოოპის ფასები.

(23 მარტი)

პური 2 ხარ.—101,000 ათასი, ძროხის ხორცი—496,000 ათ., ღორის ხორცი—620,000 ათ. შაქარი რაფინადი 560,000 ათ, შაქარი ფხვნილი—406,000 ათ., ბრინჯი ალდ. 155,000 ათ. კარტოფილი—77,500 ათასი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(23 მარტი)

პური 1 ხარ. 170.000 ათ პური 2 ხარ.—110,000 ათ., ძროხის ხორცი—600,000 ათ., ღორის ხორცი—650,000 ათ., შაქარი რაფინადი—580,000 ათ,. შაქარი ფხვნილი—440,000 ათ., ბრინჯი ალდ.—180,000 ათ., კარტოფილი—95,000 ათასი.

ბირჟის მიწოდება.

(23 მარტი)

თუშური მატყლი, მარსელის კრამიტი აგური, ქუთაისის კირი, ცარცი (ფხვნილი), თიხის მილები, მზესუმზირას ზეთი მავთული (მარტენის), ჩაი ცეილონის და ჩინეთის, ნაწლევები, სპილენძი (ფურცლოვანი), ტყავის ლედები, „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატის" პროდუქცია ხორბალი და პურეული, რუს. მანუფაქტურა, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახ. მეურნ. საბჭოს საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ" და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ერევნის მატყლი პაპიროსის ქაღალდი, ყავა „მოკკო", თხილი, შაბიამანი, განჯის შაბი, გაზეთის ქაღალდი, საპონი „დოკატ" ძირტკბილა, იტალიური გოგირდი, კარტონი, ინგლ. ფეხსაცმელები, კარაქი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, ყუბანის ფქვილი („რაზმოლ"), ტექნიკური ცხიმი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, შაქარი რაფ. და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის საკანდიტერო ფქვილი, ასანთი რუს., ქვა მარილი ნახიჩევანის, თხილი, ტომრები, კვებრახის ექსტრაქტი, ტყავის ლედები.

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

მეაბრეშუმეობის სექცია.

ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა „ნედლეულის კომიტეტმა" მოაწყო მეაბრეშუმეობის სექცია, რომელსაც ევალება მეაბრეშუმეობის საკითხების განხილვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფარგლებში.

სექცია განიხილავს და გადასწყვეტს იმ საკითხებს, რომლებიც შეეხება აბრეშუმის მრეწველობის საჭიროებების დაკმაყოფილებას და ამ მრეწველობის მომარაგებას ნედლეულით; პრაქტიკულად განახორციელებს ნედლეულის კომიტეტის, უმაღლესი ეკონომიური საბჭოს, ან კრებების და თათბირების დადგენილებებს, რომლებიც შეეხება საზოგადოდ მეაბრეშუმეობის საქმეს და მის განვითარებას.

სექცია განსაზღვრავს ფასებს აბრეშუმის ნაწარმოებზე, ექსპერტიზას უკეთებს ამ ნაწარმოების ნიმუშებს, იღებს ზომებს ადგილობრივი გრენაჟის განვითარებისათვის და სხვ. გარდა ამისა სექციის მოვალეობას წარმოადგენს—ზედამხედველობა და კონტროლი იმ დაწესებულებების, რომლებმაც უნდა განახორციელონ ნედლეულის კომიტეტის დადგენილებები.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(23—24 მარტი)

ჩერვ.	ბონით
1	გ.— 18.000.000
2	გ.— 36.000.000
3	გ.— 54.000.000
4	გ.— 72.000.000
5	გ.— 90.000.000
6	გ.—108.000.000
7	გ.—126.000.000
8	გ.—144.000.000
9	გ.—162 000.000
10	გ.—180.000.000
11	გ.—198.000.000
12	გ.—216.000.000
13	გ.—234.000.000
14	გ.—152.000.000
15	გ.—270.000.000
16	გ.—288.000.000
17	გ.—306.000.000
18	გ.—324 000.000
19	გ.—342.000.000
20	გ.—360.000.000
21	გ.—378.000.000
22	გ.—396.000.000
23	გ.—414.000.000
24	გ.—432.000.000
25	გ.—450.000.000
26	გ.—468.000.000
27	გ.—486.000.000
28	გ.—504.000.000
29	გ.—522.000.000
30	გ.—540.000.000
31	გ.—558.000.000
32	გ.—576.000.000
33	გ.—594.000.000
34	გ.—612.000.000
35	გ.—630.000.000
36	გ.—648.000.000
37	გ.—666.000.000
38	გ.—684.000.000
39	გ.—702.000.000
40	გ.—720.000.000
41	გ.—738.000.000
42	გ.—756.000.000
43	გ.—774.000.000
44	გ.—792.000.000
45	გ.—810.000.000
46	გ.—828.000.000
47	გ.—846.000.000
48	გ.—864.000.000
49	გ.—882.000.000
50	გ.—900.000.000
51	გ.—918.000.000
52	გ.—936.000.000
53	გ.—954.000.000
54	გ.—972.000.000
55	გ.—990.000.000
56	გ.—1.008.000.000
57	გ.—1.026.000.000
58	გ.—1.044.000.000
59	გ.—1.062.000.000
60	გ.—1.080.000.000
61	გ.—1.098.000.000
62	გ.—1.116.000.000
63	გ.—1.134.000.000
64	გ.—1.152.000.000
65	გ.—1.170.000.000
66	გ.—1.188.000.000
67	გ.—1.206.000.000
68	გ.—1.224.000.000
69	გ.—1.242.000.000
70	გ.—1.260.000.000
71	გ.—1.278.000.000
72	გ.—1.296.000.000
73	გ.—1.314.000.000
74	გ.—1.332.000.000
75	გ.—1.350.000.000
76	გ.—1.368.000.000
77	გ.—1.386.000.000
78	გ.—1.404.000.000
79	გ.—1.422.000.000
80	გ.—1.440.000.000
81	გ.—1.458.000.000
82	გ.—1.476.000.000
83	გ.—1.494.000.000
84	გ.—1.512.000.000
85	გ.—1.530.000.000
86	გ.—1.548.000.000
87	გ.—1.566.000.000
88	გ.—1.584.000.000
89	გ.—1.602.000.000
90	გ.—1.620.000.000
91	გ.—1.638.000.000
92	გ.—1.656.000.000
93	გ.—1.674.000.000
94	გ.—1.692.000.000
95	გ.—1.710.000.000
96	გ.—1.728.000.000
97	გ.—1.746.000.000
98	გ.—1.764.000.000
99	გ.—1.782.000.000
1 მ.	1.800.000.000
2 მ.	3.600.000.000
3 მ.	5.400.000.000
4 მ.	7.200.000.000
5 მ.	9.000.000.000
6 მ.	10.800.000.000
7 მ.	12.600.000.000
8 მ.	14.400.000.000
9 მ.	16.200.000.000
1 ჩერვ	18.000.000.000

ქრონიკა

— **საქართველოს ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტი.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ საქ. ჯანმრთელობის კომისარიატს გადასცა ფიზიკო-თერაპევტიულ ინსტიტუტისათვის სამეცნიერო მასალების და რენტგენის კაბინეტის შესაძენათ 11,760 ამერიკული დოლარი.

— **სათემო აღმასკომების გაუქმება.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა მთელ საქართველოში რაიონული და სასოფლო აღმასკომების მოწყობის მიზნით, წინადადება მისცა ყველა მაზრის აღმასკომებს დაჩქარებით მოახდინონ სათემო აღმასკომების ლიკვიდაცია.

— **საქართველოს ქალაქთა სია.** შინაგან საქმეთა კომისარიატი ამჟამად ამუშავებს საქართველოს ქალაქთა სიას, ქალაქებად დარჩება ან იქნება ისეთები, რომელნიც „ქალაქად“ გამოდგებიან ყოველმხრივ.

— **ქალაქის განტვირთვა.** ვინაიდან ქალაქის განტვირთვა რთულ მუშაობას მოითხოვს ქ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ცენტრალურ განმტვირთავი კომისიის შემადგენლობა შეცვლილ იქნას და მასში შევიდენ სახ. კომისართა საბჭოს, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, მუშათა და გლეხთა, საქ. საგანგებო კომისიის და ქალაქის კომენდანტურის წარმომადგენლები, აგრეთვე ქალაქის 4 რაიონში მოწყობილი იქნება განმტვირთავი ქვე-კომისიები ქალაქის აღმასკომის, სახ. კომისართა საბჭოს, საგანგებო კომისიის და რაიონულ მილიციის წარმომადგენლების შემადგენლობით. ცენტრალურ კომისიას თავმჯდომარეობს ქ. აღმასკომის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

— **ბავშვთა თავშესაფარი სოფ. ველისციხეში.** სოფ. ველისციხეში (სიღნაღის მაზრა) გაიხსნა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი.

— **ფილოქსერის წინააღმდეგ.** [illegible]კავშირთან დაარსდა ფილოქსერის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი. მიწად-მოქ. კომისარიატმა ამ კომიტეტს გადასცა 120 ათასი დესეტინა მიწა ს. მუკუზანში (თელავის მაზრა) ამერიკულ ვაზების დასამყნობად და საცდელად.

— **უმუშევართა რეგისტრაცია.** ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ადგილკომი 24 მარტიდან იწყებს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის უმუშევარ წევრების რეგისტრაციას. რეგისტრაცია იწარმოებს ადგილკომის შენობაში (აბას-აბადის მოედანი, № 7, კლუბი „მუშათა პრესა“) დილის 10 საათიდან დღის 11 საათამდი ყოველდღე.

— **„ტფილისის საბჭოს მოამბე“.** რედაქციამ მიიღო „ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს მოამბე“ № 4 (ოქტომბერი—დეკემბერი).

— **პოლიტ-განათლება მაზრებში.** განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაავალა პოლიტ-განათლების მთ. მმართველობას შეადგინოს გეგმა პოლიტ-განათლების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ მაზრებში.

— **სასოფლო იარაღები დონის ოლქიდან.** უახლოეს მომავალში მიწად-მოქ. კომისარიატი დონის ოლქიდან მიიღებს დიდძალ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

— **აგრო-დახმარება.** სრ. საქ. ცენ. აღმასრ. კომიტეტმა მიწად-მოქ. კომისარიატთან არსებული აგრო-დახმარების განყოფილების საქმე დააკისრა ადგილობრივ მაზრების აღმასკომებს.

— **წიგნი მევენახეობაზე.** მევენახე მეღვინეთა ბიუროს სპეციალისტებმა შეადგინეს წიგნი: „როგორ უნდა აღვადგინოთ ვენახები კახეთში“. წიგნი უახლოეს მომავალში გამოვა.

— **ქარხნები პროვინციებში.** სიღნაღის მაზრის აღმასკომმა დაადგინა: სიღნაღში მოაწყოს საპნის, აბრეშუმის სართავი და კრამიტ-აგურის დასამზადებელი ქარხნები.

— **საზაფხულო თესვის კამპანია.** მიწათმოქ. კომისარიატის ცნობით საზაფხულო თესვის კამპანია რესპუბლიკის ყველა მაზრებში კარგათ მიმდინარეობს. თესლის ნაკლებობა არაა.

— **ა.-კ. სოც. უზრუნველყოფის კომისართა თათბირი.** ა.-კ. სოც. უზრუნველყოფის კომისართა თათბირზე, რომელიც შესდგება 1 აპრილს ტფილისში, დაესწრება სრ. რუსეთის სოც. უზრუნველყოფის კომისარის მოადგილე.

— **„აგრონომიული დახმარება ამერიკაში“** დღეს, 23 მარტს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში ამერიკიდან ახლად ჩამოსული აგრონომი ნიკ. აბაშიძე წაიკითხავს მოხსენებას: „აგრო-დახმარება ამერიკაში“.

— **პოლიტგანათლება ტფ. მაზრაში.** ტფილისის მაზრაში პოლიტ-განათლების საქმისათვის ტფილისის და მისი მაზრის აღმასკომმა პოლიტ-განათლების განყოფილებას გადასცა 140 ათასი და 320 ქ.

— **სავეტერინარო სადგური ს. ოსიაურში.** სადგურის მოსაწყობათ ს. ოსიაურში უკვე გაემგზავრა ვეტექიმთა კომისია. კომისიას ფართე დახმარებას უწევს გორის მაზრის აღმასკომი, რომელმაც შესწირა ტახტები, კრაოტები, მაგიდები და სკამები. გარდა ამისა მიწათ-მოქმედების სახალხო ქონებათა განყოფილებამ შესწირა 10 ლორი, ტაბახმელის საშრატე სადგურმა —10 ლორი. დახმარება აღუთქვეს წარმოკავშირმა და ამხანაგობა „მწყემსმა“. სადგური შეუდგება ლორის ჭირის წინააღმდეგ შრატის დამზადებას დაახლოვებით აპრილის შუა რიცხვებში.

— **საფუთო გადასახადი.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა შემოიღოს ტფ. სადგურისა და ნავთლუღში საფუთო გადასახადი.

— **საქონლის ჭირი.** მარტში საქონლის ჭირი გაჩნდა ბორჩალოს, დუშეთის, გორის და ტფილისის მაზრებში, სულ 8 ადგილზე; აიცრა ამ რაიონების სოფლებში ჭირის საწინააღმდეგო შრატით 1385 სული მსხვილფეხა საქონელი.

— **შრომის ბირჟა.** შრ. ბირჟაში გამოცხადდა—207, ახლად ჩაეწერა—108, მოთხოვნილება იყო—52, გაიგზავნა სამუშაოზე—48

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 20 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე ბელინსკის ქ. № 19 გაქურდული იქნა მოქ. რევაზ ვაჩნაძის ბინა, როდესაც ვაჩნაძეს ეძინა. წაღებულია 7 ჩერ ტანისამოსი.

— **მაღაზიის გატეხა.** 19 მარტს სასახლის ქ. № 2 გაქურდული იქნა მოქ. ბენიამინ ზემლინცკის სავაჭრო, საიდანაც წაიღეს 200 ჩერვონეცის სხვადასხვა საქონელი.

— **ქურდი მეზობელი.** 20 მარტს საღამოს 8 საათზე ტელეგრაფის ჩიხის № 4. გაქურდული იქნა მოქ. გიორგი კოპლაძის ბინა, მისივე მეზობლის მიხეილ ტროფიმენკოს მიერ, წაღებულია 100 ჩერვონეცის ნივთები. ქურდის შესაპყრობათ მიღებულია ზომები.

— **მიკროსკოპიული სადგურის გაქურდვა.** 20 მარტს გაქურდული იქნა მიკროსკოპიული სადგური მდებარე სადგურის ქუჩაზე, წაღებულ ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 19 მარტს ღამის 12 საათზე პლეხანოვის პრ. № 20 გაქურდეს მოქ. ტროფიმე და აკაკი ბერიშვილების ბინა, წაიღეს 85 ჩერვ. მან. ნივთები.

— **უბედური შემთხვევა.** 14 მარტს ტფ. სადგურზე მატარებლის № 21 წასვლისას ვაგონზე შეხტომა განიზრახა უბილეთო მგზავრმა, რომელიც მოჰყვა ბორბლის ქვეშ და მოსწყვიტა მარცხენა ფეხი.

ხელოვნება

— **პროლეტკულტის ლიტერატურულ სტუდიაში.** 24 მარტიდან დაიწყობა ლექციების კითხვა პოლიტ-ეკონომიაში ლექტორათ მოწვეულია არტემ კვირიკაძე.

— **ჟურ. „მნათობის“ რედაქცია** გადმოვიდა ახალ ბინაზე: რუსთაველი № 23, იქ, სადაც მოთავსებულია აგრეთვე „დროშის“ რედაქცია. „მნათობის“ რედაქციასთან შეიძლება მოლაპარაკება ყოველდღე 12—2 სათ.

— **გორის სახალხო სახლი.** გორის მაზრის აღმასკომმა თავის სალაროდან გორის სახალხო სახლის დეკორაციების დასამზადებლად გადასდო 500 მან. ჩერ.

— **ლენინის წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ლენინის წიგნი ნაციონალურ საკითხის შესახებ, ის. თალაკვაძის თარგმანი. წიგნი შეიცავს 300 გვ. გამოცემა სახელგამის.

— **„სპარტაკი“.** სახალხო სახლში მზადდება და აპრილის რიცხვებში წარმოდგენილი იქნება ალ. შანშიაშვილის ახალი პიესა: „სპარტაკი“. პიესისათვის მუსიკა დასწერა დ. არაყიშვილმა.

— **„სულელი“ რუსულად.** ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი“ გადაითარგმნა რუსულ ენაზე, რომელიც დაიდგმება სახალხო სახლში რუსული დასის მიერ.

— **წიგნი ქართულ თეატრზე.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ს. დადიანის წიგნი „ქართული თეატრი“.

— **გრ. რობაქიძის პიესა „მალშტრემ“.** ამჟამად მზადდება და ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება გრიგოლ რობაქიძის პიესა „მალშტრემი“. პიესისათვის იხატება ახალი დეკორაციები და იკერება კოსტიუმები.

— **კინო სოფლისათვის** ტფ. პოლიტგანათლებამ შეიძინა მოძრავი კინო აპარატი, რომლითაც სოფლებში აჩვენებენ კინო-სურათებს.

დღეს თეატრებში

— ოპერა. „ლაკმე“.

— დრამა. „ცხვრის წყარო“.

— სახ. სახლი. „ციცინათელა“.

სხვები სადღა არიან?

(კათალიკოს ამბროსის გასამართლების გამო)

დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაასამართლა კათალიკოსი ამბროსი და მისი ახლობელი თანამშრომლები, სად არიან სხვები?

ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ სიღნაღის მაზრაში არსებულ ბოდბის მონასტრის ყოფილ იღუმენიას ნინო ვაჩნაძეს

ამ ბნელეთის მოციქულმაც გაქურდა და გაძარცვა ბოდბის მონასტერი, რომელიც ერთი მდიდარი „სავანეთაგანი“ იყო საქართველოში.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა 1923 წ. მაისში შეადგინა საგანგებო კომისია, რომელმაც საჭირო კვლევა-ძიების და ჩხრეკის შემდეგ აღმოაჩინა მონასტრის ეზოში დანგრეულ ბეღელის ქვეშ მიწაში ჩაფლული ყუთები, რომლებიც სავსე იყო განძეულობით—ოქრო-ვერცხლით, ძვირფასი ქვებით და სხვა ქონებით.

აქვე იყო ჩამარხული ადგილობრივ პანსიონის ტანისამოსი, თეთრეული, ხალიჩები და სხვა, რაც დანესტიანებული და ნახევრად დამპალი აღმოჩნდა.

იღუმენიას მძულვარება იქამდე დიდი და უსაზღვრო იყო მშრომელი ხალხისადმი, რომ სახალხო ქონებას ხალხისთვის არ იმეტებდა და მის მიწაში დალპობას არჩევდა.

ქონება, რასაკვირველია, სრულად არ აღმოჩნდა. ბევრი ძვირფასი განძი დღესაც ვერ გვიპოვია.

ამით იგი წინ გადაეღობა ჩვენს კულტურულ წინსვლას, მოგვისპო და გაგვინადგურა მრავალი კულტურულ-ისტორიული ნაშთები, მიწას შეაჭამა საუკუნოებით დაგროვილი მშრომელი ხალხის სიმდიდრე და ყოველ ხელსაყრელ მომენტისთვის ალბად იგი მზად იქნებოდა გადამალული ქონება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა.

და თუ ეს არ მოხდა—არ მოხდა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია და მის მიერ დანიშნულმა კომისიამ დროზე აღმოაჩინა ნაპარავი ქონება და ამით ბოროტგანზრახვა ძირშივე ჩაკლა, ჩაახშო.

აქვე მოგვყავს სია იმ ქონებისა, რომელიც იქნა აღმოჩენილი. ეს საგნები შემდეგია:

1. მეფე გიორგის მინიატურული ვერცხლის სახარება ძეწკვით, ვერცხლისავე სკივრაკით, შეწირული 1776 წელს, 2. სამი დიდი სახარება ვერცხლის ყდებში, 3. ვერცხლის კიდობანი ვერცხლისავე სანაწილით, 4. ტრაპეზის ჯვარი ოქროს ჩარჩოში, 5. ორი ვერცხლის ჯვარი, 6. ხუთი ვერცხლის ბარძიმი, 7. ბარძიმი ვერცხლისა 141 მისხალი წონით, 8. ოთხი ვერცხლის ჯვარი, 9. სამი ცალი ვერცხლის სურა, 10. ორი მდუღარების ჰურჭელი ვერცხლისა, 11. ვერცხლის ფეშხუმი ხუთი, 12. ვერცხლის 14 თეფში, 13 ვერცხლის ლამპრები 22 ცალი, 14. ოთხი ვერცხლის საცეცხლური, 15. შვიდი ვერცხლის ვარსკვლავი, 16. ვერცხლის კოვზები რვა ცალი, 17. რვა ვერცხლის შანდალი, 18. ვერცხლის თასი, 19. ტარიანი საცეცხლური ვერცხლისა, 20. ვერცხლის ქაფჩა, 21. ვერც. ჩაქუჩი, 22. ვერც. კიდობანი ვერცხლისავე სანაწილით, 23. ვერცხლის ლამპარი, 24. ხუთი ვერცხლის პანაგია, 25. საარქიმანდრიტო გულის ჯვარი, 26. ორი ვერცხლის ჭიქა, 27. ვერცხლის ლახვარი, 28. ოთხი თასი ზიარებისა 29. ვერცხლის სანავლე ჩარჩოში, 30. ვერცხლის ნამტვრევები ერთ ხვეულში, 31. ვერცხლის ჯვარი ჯვარცმის გამოხატულებით, ფართე ვერცხლის ძეწკვით, 32. სანაწილე წმ. სტეფანეს ნაწილებით, ვერცხლისა, ვერცხლის ძეწკვით 1515 წ. თარიღით, 33. ოქროს გული, 34. ხატის პერანგი ვერცხლისა მარგალიტებით, 35. ორი ვერცხლის ჯვარი, 36. სახარება ვერცხლებით, 37. ხატი ვერცხლისა—ნინოს ვედრება ღვთის მშობლისადმი, 38. ჯვარცმის პერანგი ვერცხლისა 1885 წ. 39. დიდი ჯვარის პერანგი ვერცხლისა, 40. წმინდა ნინოს დიდი ხატის ვერცხლის პერანგი საბინინისეული და 41. წმ. ნინოს დიდი ხატის ვერცხლის პერანგი (ღვთისმშობელი აძლევს ჯვარს წმ. ნინოს)

ამათში ბევრია ისტორიული ნაშთი, შეწირული წარსული საუკუნოებში და ზოგიერთი მე XV საუკუნეშიც.

ამრიგად ბოდბის მონასტრის ყოფილმა იღუმენიამ ჩაიდინა ისეთივე დანაშაული, როგორიც ამბროსის სხვა თანამშრომლებმა. ისიც უნდა დაისვას საბრალდებლო სკამზე და სასტიკად დაისაჯოს.

საბჭოთა ხელისუფლების მართლმსაჯულებამ რევოლიუციონური კანონების მთელი სიმკაცრით უნდა დასაჯოს ყველა ასეთი პირები, როგორც საქართველოს მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტრები, ქურდები და ავაზაკები.

ივრელი.

მინდვრის თაგვებთან ბრძოლა

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის 4 მარტის სხდომაზე მოხსენებას თაგვებთან ბრძოლის შესახებ აკეთებს ამხ. კ. გოგოლაშვილი

ის აცნობებს კრებას, რომ როგორც გამოირკვა იმ მოხსენებიდან, რომელიც გუშინ გააკეთა სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების შეერთებულ კრებაზე მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალისტ ენტომოლოგმა არხანგელსკიმ, თაგვი არის გავრცელებული 80,000 დესეტინა სივრცეზე დაწყებული გურჯაანიდან შირაქის ველამდე და ჭიაურის რაიონში, თვითეულ დესეტინაზე იქნება 25,000 სორო ყამირზე, 18,000 ნამჯობებში და 4,500 ნახნავებში. აგრეთვე გამოკვლეულია, რომ ზოგიერთ ადგილას ყამირებში მაქსიმალური რიცხვი სოროებისა აღწევს 45 50 ათასამდე. თაგვის მოსპობისათვის სპეციალისტ ენტომოლოგის განცხადებით მთავრობა იძლევა ინსტრუქტორებს და დარიშხანას. ადგილებმა კი უნდა იკისრონ: ათი ათასი ფუთი ხორბლის და ხუთი ათასი ფუთი სიმინდის გაღება, მუშა ხელის გამოყვანა თვითეულ კომლზე 1-2 კაცი, ორ-ორი მილიციელის მიცემა ინსტრუქტორებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ, დაქირავება ინსტრუქტორების ხარჯზე საჯდომ ცხენებისა.

კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. კ. გოგოლაშვილისა და იქონია რა ხანგრძლივი მსჯელობა, დაადგინა: 1) თაგვების მოსპობისათვის ბრძოლა აღიარებულ იქნეს დამკვრელ ამოცანათ, 2) ამ ბრძოლის ორგანიზაციისათვის ამორჩეულ იქნეს მაზრის კომისია შემადგენლობით: თავმჯდომარე კ. გოგოლაშვილი, წევრებათ: ი. მხეიძე და მაზრის აგრონომი აფხაზი, 3) აგრეთვე იქნეს ამორჩეული სოფლებში ქვეკომისიები პარტიულ და უპარტიო პირთა შემადგენლობით, 4) ეთხოვოს პარტკომს ამ საქმეში მცხოვრებთა ჩაბმისთვის ჩაატაროს მაზრაში ფართე კამპანია, 5) მიეცეს ინსტრუქტორებს დახმარების აღმოსაჩენათ მილიციელები, 6) ვინაიდან მაზრის აღმასკომს არ მოეპოვება ხორბალი და სიმინდი და არც მატერიალური სახსარი ასეთების შესაძენათ, მცხოვრებთაგან შეკრება კი ყოვლად მოუხერხებელია, ეთხოვოს სასურსათო კომისარიატს, რათა მან დაუთმოს დახმარების სახით [illegible] აღმასკომს ხუთმეტი ათასი ფუთი იმ ხორბლიდან, რომელიც აქვს კომისარიატს შეკრეფილი სიღნაღის მაზრაში. თუ რაიმე მიზეზით ამ ხორბლის მიცემა უფასოდ არ შეუძლიან კომისარიატს მაშინ მოგვცეს გრძელ ვადიან სესხით, 7) ეთხოვოს მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატს, რათა საჩქაროთ იქნეს გამოგზავნილი საჭირო რაოდენობა დარიშხანისა და გაადიდოს ინსტრუქტორთა რიცხვი.

კრების თავმჯდომარე ივანოვი.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა აჭარისტანში

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას თავდაპირველად ზოგიერთები ეჭვის თვალით უყურებდენ აჭარისტანში, ამ საქმიანობას; მაგრამ დღეს კი, როდესაც თვალსაჩინო გახდა ამ მუშაობის შედეგები და ამ მთავრობის ზრუნვა ხალხის სახალხო განათლებაზე, როგორიცაა განათლების კომისარიატის მიერ ახალი შკოლების გახსნა, პედაგოგიური ტეხნიკუმების დაარსება ბათომში აჭარელ ახალგაზრდობისათვის, სამხედრო სასწავლებელში გაგზავნა რამოდენიმე ახალგაზრდა აჭარლებისა და 50 ახალგაზრდა აჭარლების პარტშკოლაში მოთავსებისა, ყოველგვარ ორპირობას და გაუგებრობას ნიადაგი გამოეცალა და აჭარის ცხოვრებაში დგება ახალი ხანა, ხანა აჭარისტანის ფუხარა ხალხის გამოღვიძებისა, გათვითცნობიერებისა.

სხვა საგანმანათლებლო მუშაობის გარდა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო იდეას აჭარისტანში უკვე მოპოვებული აქვს ხალხის თვალში ჯეროვანი სიმპატია, რომელიც შედეგია პოლიტ განათლების დაუღალავი და ენერგიული მუშაობისა, რის მაგალითიც არის ის, რომ 15 მარტიდან ჩვენ შეუდგებით 46 წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტებიდან მსმენელების გამოშვებას.

გამოშვებული იქნება დაახლოებით 1400-დე წერა-კითხვის მცოდნე აჭარელი, რომლებიც თავის მხრივ ხელს შეუწყობენ სწავლა-განათლების გავრცელებას ფუხარა ხალხში.

ა. ღ.

პროვინციაში

გლეხთა კომიტეტების მუშაობა შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრაში საურთიერთო გლეხთა დამხმარე კომიტეტების ორგანიზაციის საქმე ფაქტიურად 1923 წლის ივლისიდან დაიწყო. პირველ ხანებში გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბებას ფართე ორგანიზაციული მუშაობის ხასიათი არ ჰქონია და ამ საქმეს მაზრაში მხოლოდ სოციალურ უზრუნველყოფის სახკომის რწმუნებული ამხ. ა. მგელაძე ხელმძღვანელობდა, მაგრამ მალე მოკიდა ხელი გლეხთა კომიტეტების დაარსების საქმეს ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ და ა. კ. კავშირმა. საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებმა, თავიანთი ზრახვების განხორციელების მიზნით, თავისებურად დაიწყეს ლაყბობა და გაავრცელეს პროვოკაციული ხმები თითქოს მსგავსი კომიტეტების ორგანიზაციის საქმე და მისი მოწყობა დაკავშირებული იყო მოსახლეობისაგან მთელი ჭირნახულის ჩამორთმევასა და მათი სამეურნეო საგნების და მოსავლის მითვისებაზე, საერთო საწყობებსა და მარნებში შენახვაზე და სხვა, მაგრამ მათმა პროვოკაციამ უნაყოფოდ ჩაიარა.

დაარსებულ იქნა მაზრაში 145 სასოფლო და 35 სათემო კომიტეტები და მაზრის ყველა 7 უბანში საუბნო კომიტეტები. 1923 წლის 25 ოქტომბერს მოწვეულ იქნა მაზრის ყველა კომიტეტების საერთო ყრილობა, სადაც მიიღეს მთელი რიგი დადგენილებათა, გლეხთა კომიტეტების გაძლიერების, ფონდების შექმნის და მათი მომავალი მუშაობის მეთოდების შესახებ.

გლეხთა კომიტეტების ფონდის შექმნა მარტო მათ საზოგადო კრებაზე გამოტანილ დადგენილებების თანახმად თვითდაბეგვრით არ განისაზღვრება, არამედ ფონდის შექმნისათვის შემოდიოდა მთელი რიგი ნებაყოფლობითი შემოწირულებების, როგორც ნატურით აგრეთვე ფულით და სხვა. სამაზრო ყრილობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება 1923 წლის 23 თებერვლის დადგენილებასთან დაკავშირებით ჩამორთმეული ქონების, სახლების, წისქვილების და სხვა ადგილობრივ შემოსავლის წყაროების გლეხთა კომიტეტებზე გადაცემის შესახებ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. ცალკე სასოფლო, ცალკე სათემო და ცალკე სარაიონო გლეხთა კომიტეტებს, რომლებშიაც შედიან რაიაღმასკომების და რაიპარტკომების წარმომადგენლები, ხელმძღვანელობს სამაზრო კომიტეტი, რომელშიაც შედიან: ამხ. ამხ. ვ. თათეიშვილი, მგელაძე, ტ. მგალობლიშვილი, მ. ჩიტიშვილი და კ. გამეზარდაშვილი. მაზრის მასშტაბით გლეხთა კომიტეტების ფონდი 800 ჩერვონეცს ფულად, 1000 ფუთს ღვინის და 6000 ფუთამდე ხორბლეულს უდრის.

მუშაობა გლეხთა კომიტეტებისა ჯერჯერობით შემდეგით განისაზღვრება: ქ. ზესტაფონში გახსნილია ბამბუკის სახელოსნო, დაარსებულია მესამე ინვალიდთა ნადი „თვითმოქმედება“; ქალ. ჭიათურაში დ. ხარაგოულში და საჩხერეში გაიხსნა სა-

ხელოვნება და ჩვენ

(ხელოვნების სასახლეში გამართულ დისკუსიის გამო)

I

უპირველესათ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, ერთი დამახასიათებელი და საყურადღებო ფაქტი: „ხელოვნების სასახლე“ რაღაცნაირი ახალგაზრდა „სკანდალისტთა“ საკრებულოდ გახდა.

წინათ, როცა აქ „ყანწელთა“ ჯგუფი იყო გაბატონებული (1922 წელს), ერთ ხანს სიწყნარეც სუფევდა და სიმშვიდეც ახალგაზრდათა აუდიტორიის ტრიბუნისადმი „კეთილ განწყობილება“ ჩემს ყურადღებას იქცევდა. ვფიქრობდი: რა კარგი იქნება, ეს ახალგაზრდობა ჩვენც, პროლეტარულ მწერლებსაც ასე გულდასმით მოგვისმენს მეთქი.

ეს ჩემი ნატვრა შეარყია, შელახა შარშანდელმა აქ, ხელოვნების სასახლეში გამართულმა „დებოშებმა“. აღმოჩნდა, რომ „ყანწელებს“ ამ ახალგაზრდებში ჰყოლიათ სასტიკი მტრები, რომლებიც თავიანთ თავს „ნამდვილ ფუტურისტებს“ უწოდებენ და რომლებიც მთელ თავის დანიშნულებას „ყანწელებთან“ ჩხუბში და ყაყალ-მაყალში ხედავენ. პაოლო იაშვილმა ერთხელ სცადა კიდეც „ჩეკის“ საშუალებით მათი მოთვინიერება, მაგრამ არა გამოვიდა რა.

ეხლა, ჩვენი დიდი მასწავლებლის, ლენინის სიკვდილის შემდეგ, განსაკუთრებით პროლეტმწერლებისაგან მის ხსოვნათ გამართულ საღამოს შემდეგ, ხელოვნების სასახლეში პირობები შეიცვალა: ხშირათ იმართება საჯარო მოხსენებები ხელოვნების თემებზე და დარბაზიც იმავე ახალგაზრდებით ივსება, როგორც წინათ „ყანწელების“ თაოსნობის დროს.

მაგრამ რას ვხედავთ?—აურ-ზაური, [illegible] რეპლიკები, თავხედური წამოძახილი, შამლაყინწობა და სხვ. [illegible] იზრდება სწორედ იმისდაგვარად, როგორც და რამდენათ [illegible] ყველა ხელოვნების სასახლის ტრი[illegible]. შეიცვალა საღამოების მეთაურ[illegible]მადგენლობა, მარა არ შეცვლილა აუდიტორია, აი მიზეზი აღნიშნული უხერხო მოვლენის.

პროლეტმწერალთა კავშირის გამგეობამ მიიღო წინასწარი ზომა ამ უხერხო მოვლენის თავიდან ასაცილებლად: მან განსაკუთრებული [illegible] მოიწვია ის პირები, რომელთა მონაწილეობას 5 მარტს გამართულ დისკუსიაში ის საჭიროდ სცნობდა. მაგრამ ამ პირთაგან ბევრი სულ არ გამოცხადდა და ბევრიც თუმცა გამოცხადდა, მარა ეტყობოდა „სეირის საყურებლათ“ მოსული იყო და არა კამათში მონაწილეობის მისაღებათ. ცოტანი იყვნენ პასუხისმგებელი ამხანაგებიც.

ასეთ დამოკიდებულების მიზეზი ჩვენი პარტიის პრინციპის ადგილობრივათ გაუტარებლობაში, თავისებურათ გაგებაში, უკეთ გაუგებრობაში მარხია.

ჩვენ გვგონია, რომ დროა ამ გაუგებრობას ბოლო მოეღოს

II

მმართველი პარტიის, კომპარტიის გეზი და ხაზი სავსებით გამორკვეულათ უნდა ჩაითვალოს ამ ბოლო ხანებში.

ამაში ჩვენ თვალსაჩინოთ და დაბეჯითებით გვარწმუნებს რ. კ. პ. ცენტრალურ ორგანოს, გაზ. „პრავდა“-ს მე 40 №-ში (ამა წლის 19 თებერვლის) რვა პროლეტარულ და იმავე დროს პარტიულ მწერლის მიერ ხელმოწერილი სტატია—ფელეტონი, რომლის პოზიციას რედაქცია სავსებით იზიარებს. ჩვენ აღვნიშნავთ აქ ამ სტატიის რამდენიმე ადგილს, რომლებიც ნათლად და სისწორით გვიჩვენებენ კომპარტიის მიერ აღებულ გეზს სახელოვნო პოლიტიკაში და იმასაც დავსძენ, რომ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ“ მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, მაგალითად თეატრის საკითხს და ნომერი ისე არ გამოვა, რომ ამ საგანზე ანგარიში, რეცენზია და შენიშვნა არ მოათავსოს.

აღნიშნულ ფელეტონში სწერია: „*Безразличной литературы не было и нет.* В наше время, в особенности художественное произведение, чего бы оно ни касалось,—начиная с вопросов производства и кончая любовью, *может быть оружием или рабочаго класса, или его противников*“...

„А если это так, то партия *не может, не должна, не имеет права* оставаться *нейтральной*, равнодушной в вопросах художественной литературы. *Коммунистическая партия должна иметь и проводить этой области твердую политику*“.

მოკლეთ: **ნეიტრალური აპოლიტიკური მწერლობა საერთოდ არ არსებობს,** მით უფრო არის ასეთი მხატვრული მწერლობა: ის ან მუშათა კლასის ბასრი იარაღია, ან მისი მტრების.

ამიტომ კომუნისტურ პარტიას უნდა ჰქონდეს მტკიცე პოლიტიკა ამ სფეროში და მტკიცედაც უნდა ატარებდეს მას.

და მერე, რაში მდგომარეობს ეს პოლიტიკა?

აი რაში: „Только через пролетарскую, классовую литературу, в процессе борьбы с буржуазной и мелкобуржуазной литературой можно придти к литературе бесклассоваго общества“...... მოკლეთ: მხოლოთ **პროლეტარული** მწერლობით და ბურჟუაზიული ლიტერატურის წინააღმდეგ **ბრძოლით** შეიძლება შევქმნათ უკლასო საზოგადოების მწერლობა. დღევანდელ საბედისწერო „ნეპის“ პირობებში კი რას ვხედავთ.

აი რას:

......„Мы видим, что в большинстве наших органов и издательств *центральное место занимают как раз наиболее чуждые нам „попутчики“*......

თუ ეს საბჭოთა რუსეთზე ითქმის, რაღა უნდა ვთქვათ მაშინ საბჭოთა საქართველოზე, სადაც მხოლოთ ამ „პოპუტჩიკებს“ უჭირავთ „მმართველი მწვერვალები“ ხელოვნების სფეროში. მარა ჯერ ამას თავი დავანებოთ და ავღნუსხოთ ის ძირითადი დებულებები, რომელთაც აღნიშნული ფელეტონის ავტორები საჭიროთ სთვლიან საფუძვლად დაიდვას კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას ხელოვნების სფეროში. აი ეს ძირითადი მუხლები:

1. **ყურადღების მაპყრობა უმთავრესათ პროლეტარულ ლიტერატურისადმი, ყოველნაირათ ხელის შეწყობა და პირობების შექმნა, რომ პროლეტარულმა მწერლობამ ფრთა გაშალოს და განვითარდეს იგი.**

2. **გადაჭრითი უარყოფა ისეთი ნაწერების ჩვენს გამოცემებში მოთავსებისა, რომლებიც მოკლებული არიან რევოლიუციურ საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მრყვნიან რუსეთის დიდი რევოლიუციის სოციალურ, პოლიტიკურ და ყოფაცხოვრების მხარეებს.**

3. **დიდი სიფრთხილე და დაკვირვებული შერჩევა ისეთ ნაწერების მოთავსებაში, რომლებიც, თუმცა მიმდინარე რევოლიუციასთან დაკავშირებულნი არიან, მარა რევოლიუციის აზრის გაგებაში ისტორიული კლასობრივ თვალსაზრისს მოკლებულნი არიან.**

და 4. **რევოლიუციის თვალსაზრისზე მდგომ „პოპუტჩიკების“ გამოყენებასთან ერთად მათი ნაწერების მარქსისტული სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გატარება, რომ ეს ჩვენი „მარქსიტა“ მწერლები პროლეტარული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექცნენ.**

აი პროგრამის ყველა ის მუხლები, რომელთა ცხოვრებაში გატარებას მოითხოვს ზემოთ დასახელებული რვა კომუნისტი მწერალი, მათ შორის ილარიონ ვარდინის ფსევდონიმით ცნობილი ქართველი ძველი მუშა-მწერალი.

III

ეხლა დავუბრუნდეთ ჩვენს მდგომარეობას საქართველოში და ვიკითხოთ: გვაქვს აქ რაიმე სახელოვნო პოლიტიკა ან ხელმძღვანელობა მაინც პარტიის ცენტრალურ ორგანოში გამოთქმული პრინციპებით და დებულებებით? უნდა განვაცხადოთ ჩვენ, რომ ჩვენში ამას ვერ ვხედავთ.

ამის დასამტკიცებელი ფაქტები რამდენიც გნებავთ, მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდა ჩვენში თავიდანვე **თეატრალური ხელოვნება.**

დღეს მიყრუებულ პროვინციასაც კი მისწვდა მგონი ჩვენი „დურუჯის“ ხმაური.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ და ხელი ჩავიქნიოთ, ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ჩვენი შრომის სახალხო კომისრის, არჩილ მიქაძის წერილი ჟურ. „დროშის“ მე 9 №-ში მოთავსებული, რომლითაც ის ექომაგება და მფარველობას უწევს როგორც ამ „დურუჯს“, ისე მის მომავლინებელთ „ყანწელებს“ და რეჟისორ კოტე მარჯანიშვილს.

აი რას სწერს იგი სხვათა შორის ამ „სამარცხვინო გამოსვლაზე“:... „29 იანვარს წარსულის დამსხვრევა გამოაცხადა „დურუჯმა“ ქართული თეატრის მანიფესტით. თეატრმა მტკიცედ გამოსთქვა თავისი ნება და მისწრაფება ჩამდგარიყო სხვა ხელოვნებათა რიგში, რომელთა რენესანსი გამოცხადებული იყო გრიგოლ რობაქიძისა და ახალი პოეზიის და მხატვრობის ფალანგის „ცისფერი ყანწების“ მიერ“...

„საქართველოს გასაბჭოებამ, განაგრძობს ამხ. არჩილი, მოხსნა ბორკილები თეატრს და მისცა მას თავისუფალი განვითარების საშუალება ისე, რომ **არ წაუყენებია მისთვის იდეოლოგიური მოთხოვნილებანი**“...

რა გამოდის აქედან?—აშკარაა ის, რომ „ყანწელების ჯგუფმა“ დაიწყო ქართული თეატრის „რენესანსი“ (აღორძინება) და ამაზე „მისთვის“ საქართველოს გასაბჭოებას, ე. ი. საბჭოთა კულტურის ხელმძღვანელ ორგანოებს „**იდეოლოგიური მოთხოვნილება არ წაუყენებიათ**“; უკეთ რომ ვთქვათ: „ყანწელებისათვის“ პასუხი არ მოუთხოვიათ, თუმცა ისინი პროლეტარულ იდეოლოგიას ძირითადათ ეწინააღმდეგებოდენ და ჰგმობდენო“.

და მერე ქვევით კიდევ ამხ. არჩილი სწერს: „....**ახალ თეატრში** (ე. ი. „დურუჯელების“ თეატრში. რ. ქ.), რომელიც ამ ჟამად იქმნება ჩვენთვის (?) უეჭველია მხატვრულ ზედმოქმედ ფორმების ჯერ კიდევ ხელუხლები (!) შესაძლებლობანი. ისინი გვესაჭიროება ჩვენ—მაგრამ (თუ რადგან? რ. ქ.) ზედმომქმედი ფორმის (?) განსხვავებით **ახალი შეასრულებენ საბჭოთა საზოგადოებრიობის შენაკვეთებს.** (?!)

ამხ. არჩილი ღრმათ დარწმუნებულია, რომ „წასისინებული“ (თუ წასისიანებული? რ. ქ.) დღეს „დურუჯი“ „იბადება, და თავის გამართლებას ნახავს და უნდა ნახოს“ (და თუ ვერ ნახა? რ. ქ.) „ამომავალ კლასში — პროლეტარიატში, რომელიც გაიგებს, დააფასებს და გზას მისცემს მათ“... „**ჩვენ გვექნება თეატრი საბჭოთა ტენდენციის,** და ამხ. არჩილის აზრით ამის თავდები ერთი ის გარემოება ყოფილა, რომ კოტე მარჯანიშვილს ლენინგრადში კომინტერნის მეორე კონგრესის გახსნის დროს დაუდგამს სამი ინტერნაციონალის ინსცენიროვკა“—„ორი ქვეყანა“ სამი ათას ხუთასი მსახიობის მონაწილეობით; მეორე ის, რომ კოტე მარჯანიშვილმა 27 იანვარს ტფილისში „შექმნა შთაბეჭდილება ლენინის ცხადი გასვენებისა“ (თუ ცხადი შთაბეჭდილება ლენინის გასვენებაზე? რ. ქ. ამნაირად პასუხისმგებელ კომუნისტის აზრით, ჩვენც, მისი პარტიული ამხანაგებიც „ღრმად უნდა დავრწმუნდეთ“, რომ „ქმედითი ოსტატთა ჯგუფი“, რომელსაც პროლეტარული იდეოლოგიის მგმობნი „ყანწელები“, თუმცა დღეს ჩვენი მემარჯვენე ხელმძღვანელობენ, „თვითმიზნობრივი სანახაობის“ (?) ახალ თეატრს მოგვცემს; ვითომ უნდა დაუჯეროთ ამხ. არჩილს, რომ „**ახალი ზედმომქმედი ფორმის განსხვავებით შეასრულებენ საბჭოთა საზოგადოებრიობის შენაკვეთებს**“.

შეიძლება „შენაკვეთები“ შეასრულოს ხელოსანმა ოსტატმა, ეს ჩვენც გვჯერა, ამხ. არჩილ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხელოვანი ოსტატი, თუნდაც ის „ქმედითი“ იყოს, ვერას გზით ვერ შეასრულებს ჩვენს „შენაკვეთებს“ ისე, როგორც ეს ჩვენთვის, უკეთ პროლეტარიატისთვის და კომუნიზმისათვის საჭიროა, **თუ ხელოვანი—ოსტატი პროლეტარული იდეოლოგიის შემცნობას, გაგებას მოკლებულია.**

ამის ილიუსტრაციას წარმოადგენს თუნდაც ის „ქმედითი ოსტატთა ჯგუფი“, „დურუჯი“, რომელსაც ესარჩლებით და რომლის გაპროლეტარება ძალიან მოგწყურებიათ, რომელმაც ლენინის გასვენების მესამე დღეს გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში ლოთიფაშური გამოსვლა მოახდინა.

მთელი უბედურებაც იმაშია, რომ „დურუჯელებს“ და „ყანწელებს“ შემოქმედება მოკლებულია იმ იდეოლოგიას, რომელიც „საქართველოს გასაბჭოებას მათთვის დღემდე არ მოუთხოვია“.

დღეს კი, როგორც წერილის თავში აღვნიშნე, მმართველი პარტია ყველა „პოპუტჩიკებისგან“ გადაჭრით მოითხოვს, რომ ისინი პროლეტარული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ დადგენ და (იხ. მე-4 მუხლი) **ამ იდეოლოგიის კრიტიკის ქარცეცხლში გატარდენ** და მაშინ ვნახავთ: დაგვრჩება მათგან რამე „გამოსაყენებელი“ თუ არა!

IV.

ისინი ამ უკანასკნელ ჟამს ექსპრესიონისტულ დრამატურგიას გვაწვდიან. ამას ამხ. არჩილ მიქაძეც აღნიშნავს, რის გამოც იგი დიდ იმედებს ეძლევა.

მაშინ როდესაც ეს ექსპრესიონიზმი „ყანწელთა“ ლიდერის, გრიგოლ რობაქიძის განმარტებით „საგანს“ ან მოვლენას შემდეგნაირად „გვისახავს“: „არა ისე, როგორც არსებობს საგანი თვითონ, არც ისე: როგორც ჩემს შთაბეჭდილებაშია იგი ახატული; **არამედ ისე, როგორც არის იგი გარდაქმნილი ჩემს (?) სულში.** (იხ. ჟურნალი „კავკასიონი“ № 1—2).

როგორც ხედავთ ეს „ქმედითი ოსტატები“ გვპირდებიან ცხოვრება ისე დაგვიხატონ, „როგორც ეს მათ **სულში გარდაქმნილია**“. მათი სული კი, როგორც ვიცით, არის მეტაფიზიკური მისტიური სული, მათი გამოხატვის მანერა და საშუალება მხოლოდ „უჩვეულო“ სიმბოლიური, თან „სქემატიური“.

სქემატიურ სიმბოლიებში გამოხატვა იმისა, რაც მეტაფიზიკურ და მისტიურ სულში გარდაქმნილა, აი ფორმულა მათი ხელოვნებისა, მათი „ქმედითი ოსტატობისა“!

აი რას უნდა მოველოდეთ ჩვენ ექსპრესიონისტულ თეატრისგან, როგორ შეგვისრულებენ ისინი ჩვენს მხატვრულ „შეკვეთებს“!

ჩვენ, ცხადია, არც ვმფარველობთ და არც დიდს რასმე მოველით „წვრილფეხა თავად-აზნაურისაგან“: არც „წვრილფეხა ბურჟუასგან“, მაგრამ დაბეჯითებით ვამბობთ, რომ **ჩვენ ვერც „ყანწელებს“** და ვერც „დურუჯელებს“ დიდს ვერაფერს „გამოვარჩებით“ საერთოდ.

ხოლო რაც შეეხება კერძო შემთხვევებს და კერძო პირებს, უნდა ვსთქვათ, რომ კულტურულ საქმეში ის „ხალხი“ უფრო გამოგვადგება და ის უფრო უკეთ გაგვიწევს „თანამგზავრობას“, რომელიც თავისი მსოფლგაგებით და იდეოლოგიური პრინციპებით მანძილის სამ მეოთხედზე მაინც დგას ჩვენთან ახლო ხოლო ისინი, რომლებიც, როგორც ყოველი ჯურის ფუტურისტები, ისე არიან ჩვენზე დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა, ვერასოდეს ჩვენთან ერთად იდეოლოგიურ უღელს ვერ გასწევენ.

ამის მაგალითად დღეს ცნობილი კომუნისტი მწერალი ნ. ჩუჟაკი გვაძლევს, რომელიც დღემდე „ლეფისტი“ იყო, ე. ი. მემარცხენე ფუტურისტებს ემხრობოდა, ხოლო დღეს „პრავდის“ მე-23 № შემდეგსა სწერს:

„*Законы мистики художественнаго творчества да будут свергнуты* во имя диалектически развивающейся материи, во имя нового ее преодоления, во имя классоваго мастерства“... (იხ. „პრავდა“ № 23 სტ. ნ. ჩუჟაკისა) რა არის თუ არა „მხატვრული შემოქმედების მისტიკის კანონების“ ცნობა ექსპრესიონიზმის მიერ, როცა ის „სულში გარდაქმნილ საგანს“ ან მოვლენას გვიხატავს?

ამიტომ ჩვენ ამხ. ნ. ჩუჟაკს უნდა დავეთანხმოთ და „ნივთის დიალექტიურად განვითარებისა და კლასიური ოსტატობის სახელით“ მხატვრული შემოქმედების მისტიკის კანონებიც და ექსპრესიონიზმის მიერ ამ ცრუ კანონების ცნობაც „დავამხოთ!“.

დიახ, ჩვენ, პროლეტარულ მწერლებს მებრძოლ პროლეტარიატთან ერთად, რომელიც ხელოვნების სფეროშიაც სრულიად დამოუკიდებელი შემოქმედი გამოდის, გვწყურია ახალი ხელოვნება, „ახალი თეატრი“, მაგრამ ამ ახალს ჩვენ არც ფუტურისტებისგან, არც ექსპრესიონისტებისგან არც მეიერხოლდისგან და არც კოტე მარჯანიშვილისგან არ ველით, არამედ ველით მას იმ დამოუკიდებელ პროლეტარულ თეატრალურ ძალებისგან, რომლებიც დღეს მთელ საბჭოთა კავშირის სივრცეზე თვალწარმტაცი დამოუკიდებელი კლასობრივი სრბოლით და დინამიურობით შესდგომიან ამ მათთვის სრულიად უჩვეულო და ახალს შემოქმედებას. ჩვენ ვუცდით და უდიადესი იმედით შევყურებთ „ძიების ხანის“ დასრულებას!

ჩვენ გვრწამს, რომ ისეთი მძლავრი პროლეტარული სახელოვნო ორგანიზაციები, როგორიც არიან: „ოქტომბერი“, „სამჭედლო“, „ახალგაზრდა გვარდია“ და სხვადასხვა, რომელთა რიცხვი ასობით და ათასობით ითვლება მარტო რუსეთში, ახლო მომავალში ნამდვილ პროლეტარულ მაღალ ღირებულების მხატვრობას, ხელოვნებას მოგვცემენ!

მანამ კი არა „ბურჟუაზიული ხელოვნების მაღწევები“: „თვითმიზნობრივი სანახაობა“, „ზედმომქმედი“ „უშინაარსო ფორმები“, „კაბარე“ და „მიუზიკ-ჰოლი“, არა „ამერიკანული“ ან „გამექანიკებული“, „გაცარიელებული“ „უსიუჟეტო“ თეატრი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კლასიკური პიესების და რევოლიუციური სიუჟეტის თეატრი!

რ. ქელაძე.

მუშათა ცხოვრება

კომუნისტური ნათლობა

19 მარტს ავლაბრის მუშათა კლუბში მონათლეს კომუნისტურად 14 ბავშვი. უმრავლესობა სასაკლაოში მომუშავეთა შვილები იყვნენ. ნათლობის ცერემონიალს ხელმძღვანელობდა ამხ. მაზაჯანოვი. ნათლობის დაწყებამდის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბუდიკოვმა, ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელმა. სიტყვის შემდეგ დაიწყო ნათლობა. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ის სურათი, რომ უკვე ხანს გადასული ძველი ზნეჩვეულების მატარებელი სამღვდელოების ოდესმე გავლენის ქვეშ მყოფნი უარ-ყოფენ ცრუ-მორწმუნეობას და თამამად გადადიან კომუნისტურ-ინტერნაციონალისტურ ზნე-ჩვეულებებზე, ნათლავენ შვილებს ინტერნაციონალურად და არჩევენ სახელს დამსწრე ამხანაგების სურვილების თანახმად. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განაპირა უბნის მცხოვრებნი მოდიან შუაგულ ქალაქში და იმ ხალხის თანადასწრებით აწყობენ ნათლობებს, რომელნიც ჯერ არა ერთხელ დასწრებიან ასეთ აქტებს. საჭიროა და სასურველიც, რომ მომავალში ასეთი ნათლობები მოაწყონ იქვე ნათლულების ნათლულები მუშებისა და გლეხების თანდასწრებით ნათლულში არსებულ ერთ ერთ კლუბში, სასურველია ბავშვები იქ ინათლებოდეს კომუნისტურად, სადაც მრავლად დაესწრებიან ნათლულელი გლეხები და მუშები. ამნაირად თანდათანობით გადაიქცევა ახალი რწმენა საერთო ზნე ჩვეულებად.

ნათლობის შემდეგ გაიმართა რუსული წარმოდგენა სახუმარო ხასიათისა „ახალგაზრდა ცოლქმარნი“: მოთამაშეებმა საზოგადოება ბევრი აცინეს და ყველა კმაყოფილი დაბრუნდა თავის სახლში.

მუშა—შაქრო ნათლულიძე.

ორთაჭალის (ყოფ. თამამშევის) წისქვილი.

ეს წისქვილი ერთ საუკეთესო წისქვილად ითვლება არამც თუ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ამიერ-კავკასიაშიაც კი თავისი ტეხნიკური მოწყობილობით. აღნიშნული წისქვილი მოძრაობს მდინარე მტკვრის წყლით და არ საჭიროებს არავითარ საწვავ-სათბობ მასალას, რაც დიდ ეკონომიას აძლევს წარმოებას. ამ ჟამად მოძრაობაშია მხოლოდ ორი თვალი, ორი კი გაჩერებულია საკმაო წყლის უქონლობის გამო ოთხივე თვალმა, რომ იმუშავოს ღამე და დღეში ორი ათას ხუთას ფუთამდე დაფქვავს, რაც დიდ შემოსავლად უნდა ჩაითვალოს ქალაქისათვის, თუმცა ეს დიდ ხარჯებსაც მოითხოვს, რადგანაც არის არხი, რომ მდინარე მტკვარს მარცხენა მიეცეს პირი და წისქვილისათვის საკმაო წყალიც გამოვიდეს. მაგრამ ეს წისქვილი ამ ხარჯებს შემდეგისათვის აინაზღაურებს, რადგანაც იგივე წყალი ელექტრონის მოტორსაც აამოძრავებს იქვე. წისქვილი საჭიროებს შეკეთებასაც. საჭიროა მისთვის მეტი ყურადღების მიქცევა, რადგანაც ამ წისქვილს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. აქ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 27 კაცამდეა. ფიზიკურ მომუშავეებს რომლებიც ტომრებს ზიდავენ, ჯამაგირები ძალიან მცირე აქვთ. თვიურად მხოლოდ თუთხმეტი მანეთი. საჭიროა მათთვის ჯამაგირის მომატება.

მუშკორი მკერვალი ნიკო.

კულტურული მუშაობა 1-ლ გამასწორებელ სახლში

ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კულტ-განათლების მუშაობას საერთოდ, და განსაკუთრებით კი გამასწორებელ სახლებში. და აი კიდეც უნდა აღინიშნოს ეს დიდი საქმე პირველ გამასწორებელ სახლის თანამშრომლებს შორის. პირველ გამასწორებელ სახლის თანამშრომლებს აქვს საუცხოვოდ მოწყობილ-მოკაზმული ბიბლიოთეკა-სამკითხველო; არის კლუბი. საერთოდ ჩვენი კლუბი და ბიბლიოთეკა მდიდარია ადგილობრივი და მოსკოველი ჟურნალ-გაზეთებით; ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს ჩვენი ბიბლიოთეკა ღებულობს ყოველ დღიურად 15 ცალს. მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებს კი 7 ცალს, ცოტად ჩვენს სამკითხველოს აკლდა წიგნები, მაგრამ ამ გარემოებას ადგილკომის დახმარებით დიდი ყურადღება მიაქცია საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირის კულტ-განყოფილებამ და მოგვცა უფასოდ რამოდენიმე ათი წიგნი. მასთან ერთად უნდა აღინიშნოს ჩვენი კედლის გაზეთიც „კრასნია შპი“, რომელიც გამოდის ყოველ კვირაობით, ადგილკომის და ახალგაზრდა კომკავშირის თაოსნობით. ეს კედლის გაზეთი გამოდის საუცხოვო სურათებით. მარტისთვისათვის ადგილკომმა ჩაატარა კამპანია გაზეთ მუშაზედ ხელის მოწერაზე, რომელიც ნაყოფიერად ჩატარდა, თანამშრომლები სიხარულით მიეგებენ ხელის მოწერა. სულ მოაწერეს ხელი 20 თანამშრომლებმა და შემდეგისათვის უნდა მოაწეროს ხელი ოცდაათამდე თანამშრომელმა, მკითხველები წიგნების და გაზეთების ჩვენ სამკითხველოს საკმაოდ ყავს. აღსანიშნავია ადგილკომის ნაყოფიერი მუშაობა, ის ასრულებს თავის დანიშნულებას და საუცხოვოდ აწარმოებს კულტურულ მუშაობას თანამშრომლებს შორის. აგრეთვე ადგილკომის გულმოდგინე მუშაობით დაარსდა ქართული სომხური და რუსული დრამატიული წრეები, სადაც ყოველ ორკვირაში მიდის სპექტაკლები.

მუშკორი ა. დ. მათხოშვილი.

ერთგულნი მუშაკნი ყურადღების და დაჯილდოების ღირსნი არიან

19 მარტს თუთუნის ქარხანა „პროლეტარ“-ში წარმოადგინეს 2 ფუთი და 30 გირ. ფოთოლი თუთუნი და მასთან ორი ხელის სტანოკი, თუთუნის დასაჭრელი ერთი დანა და ორიც სტანოკის დასადგმელი ფიცრის სკამები. ყველა ეს ნივთები დაჭერილია მაღაკნის ქუჩაზე—მეთე კომისარიატის აქციის მოხილეს ამხ. ვასილ ერისთავის მიერ მილიციონერ მურადოვის დახმარებით. ამას წინადაც დაიჭირა ამავე ერისთავმა 19 ფუთი კონტრაბანდის თუთუნი მეცხრე უბანში და წარადგინა, სადაც საჭირო არის. რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან ასეთი პირები, რადგანაც ასე გულმოდგინეთ ეპყრობიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ ამხ. ერისთავი ვასილ ცოტა არ იყოს უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ წინ დაჭერილი 19 ფუთი თუთუნი ისევ დაუბრუნეს ნება-დაურთველად თუთუნის მომტან გლეხებსო და ამითი ჩვენი შრომა უქმად ჩატარდაო. მართლაც ამხ. ერისთავი არ სცდება იმაში, როცა იძახის, რომ ჩვენ ჩვენს შრომას არა ვზოგავთ და ვცდილობთ, რომ ყოველგვარ ზომებს მივიღოთ ასეთი კონტრაბანდის გავრცელების წინააღმდეგ, რაც საგრძნობელ ზარალს აყენებს როგორც თუთუნის ტრესტს, აგრეთვე ხაზინასაც. რადგანაც აუარებელი თუთუნი გამოდის ბაზარზე და კერძო სპეკულიანტები სარგებლობენ ამითი, ამიტომ საჭიროა, ასეთი კონტრაბანდის გამავრცელებელნი შესაფერისათ დაისაჯნენ და არც საქონელი დაუბრუნონ და ისინი კი რომელნიც გაორკეცებული ენერგიით ებრძვიან მთავრობის მავნე ელემენტებს შესაფერისად იყვნენ დაჯილდოებულნი.

მუშკორი ალ. ბ-შვილი.

მუშკოოპის პურის საცხობებში

სამშაბათს, 18 მარტს დღის 12 საათზე, შესდგა გაერთიანებული კრება მუშკოოპის პურის საცხობების მუშა-მოსამსახურეების, რომელზედაც დაესწრნენ როგორც მუშა-მოსამსახურეები, აგრეთვე გემოკვების კავშირის ცენტრალური გამგეობის წევრებიც მთელი შემადგენლობით კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ხუხუნაშვილი, მდივნად ამხ. ბლიაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) ანგარიში ადგილკომის მუშაობის შესახებ; 2) ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნის არჩევა; 3) უპარტიო მუშათა კონფერენციისთვის დელეგატების არჩევა; 4) მიმდინარე საკითხები. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სოფიანიდიმ, (ყოფილმა ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანმა), რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას ადგილკომის მუშაობა, რის შემდეგაც კრებამ ამხ. სოფიანიდის მოხსენება სცნო ფრიად დამაკმაყოფილებლად და ამასთანავე გამოსთქვა კრებამ, რომ ის განაგრძობს თავის ენერგიულ მუშაობას იქაც, სადაც ის არის ამ ჟამად გაწვეულ კავშირის დავალებით ახალი საქმის შესასრულებლად. შემდეგ კრებამ აირჩია ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. იასონ კობერიძე, რომელიც იყო წამოყენებული გემოკვების კავშირის გამგეობისა და ადგილობრივი იაჩეიკის მიერ. კრებამ გამოსთქვა იმედი, რომ იასონ კობერიძე იმუშავებს ენერგიულად მუშების ინტერესების დასაცავად. უპარტიო მუშათა კონფერენციისთვის არჩეულ იქნენ დელეგატებათ, ყველა ფურნეებიდან პროპორციონალურად რამოდენიმე ამხანაგები.

ინფორმატ. ვ. ხაჩუაძე.

პასუხად მუშკორ მემუხრუჭეშვილს

(იხ. „კომუნისტი“ 56)

გაზ. „კომუნისტი“-ს № 56-ში მოთავსებულია მუშკორ მემუხრუჭეშვილის წერილი სათაურით: „საძაგელი საქციელი“. ეს წერილი თავიდან ბოლომდე აგებულია გაუგებრობაზე. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია რედაქციის და მკითხველების საყურადღებოთ შემდეგი განვაცხადო: 1 მარტს დილის 4 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სამნეო კლინიკის სამშობიარო ოთახში 5 მორიგე სტუდენტების თანადასწრებით სასწრაფო დახმარებას ვუჩენდი მელოგინეს, რომელსაც საშვილოსნოდან დიდი სისხლის დენა ჰქონდა. ამ დროს ავადმყოფების მიმღებმა ქალმა რიაბკოვამ მაცნობა ახალი ავადმყოფის მოყვანა, მაგრამ მისი კლინიკაში მიღება შეუძლებელი იყო, ვინაიდან თავისუფალი ადგილი არ მოიპოვებოდა. ამის შესახებ მე ღამის 2 საათზე საბებიო ინსტიტუტის მორიგე ექიმს ვაცნობე და ვთხოვე, თუ მას თავისუფალი ადგილები ჰქონდა, ავადმყოფები ინსტიტუტში მიეღო. ჩემ წერილზე მან წერილობითვე მიპასუხა, რომ თავისუფალი ადგილები ინსტიტუტშიც არ არისო.

მუშკორი სწერს: „ამხ. ჯავაირას მოლაპარაკების შემდეგ მოქ. კუპაძემ დააწვინა ავადმყოფი“-ო.

ჩემთან კი არავის არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია, რასაც ამხ. ჯავაირაც დაადასტურებს და არც ავადმყოფი მიმიღია. როდესაც სამშობიაროში მელოგინეს სათანადო დახმარება აღმოუჩინე (ამას დაადასტურებს 5 მორიგე სტუდენტი და მორიგე ბებია ქალი), მე დერეფანში გამოვედი და რიაბკოვის ქალს ვუთხარი, რომ ავადმყოფი ქალი ჩემთან მოიყვანეთ ამაზე მან მიპასუხა, რომ ის უკვე მიღებულია საბებიო ინსტიტუტშიო.

ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ავადმყოფი დააწვინეს საბებიო ინსტიტუტში და არა უნივერსიტეტის სამეანო კლინიკაში, სადაც მე ვმსახურობ და რომლის მუშაობისთვის მე პასუხს ვაგებ. მუშკორმა მემუხრუჭეშვილმა ეს ვეღარ გაიგო ალბად და სხვისი ცოდვები მე მომაწერა.

სახ. უნივ. სამეანო კლინიკის ორდინატორი ვლ. კუპაძე.

ქრონიკა

— **კვირას, 23 მარტს, დღის სრულ 12 საათზე**, ტფილისის მუშკორთა კლუბში (აბას-აბადის მოედანზე) მოწვეულია ტფილისის მუშკორთა ცენტ. ბიუროს მორიგი სხდომა. ყველა წევრთათვის დასწრება სავალდებულოა. ამხანაგებს ვსთხოვთ თან წამოიღონ დავალებისამებრ მუშკორთა სიები. შეუძლიანთ დაესწრონ მსურველ მუშკორებსაც.

ცენტრალური ბიურო.

მაზრო გლეხკომების სასადილოები; ახლო მომავალში ასეთივე სასადილო გახსნილი იქნება ქ. ზესტაფონში; გლეხთა კომიტეტებისათვის, სოციალურ უზრუნველყოფის სახკომის საშუალებით მიღებულია 958 ჩერვონეცის ფართლეული, ორი ამერიკული შეკვრა შეკრილი ტანისაცმელი და 8000 ფ. მარილი. ეს უკანასკნელი ჩამოტანილია ადგილზე და განაწილებულია ქიათურის, ზესტაფონის და ხარაგოულის გლეხთა კომიტეტების საწყობებში, რომელიც ჩაბარებული აქვსთ ადგილობრივ ხელისუფლების საიმედო წარმომადგენელთ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ გლეხებზე მისაწოდებლად. დიდი სიხარული გამოიწვია გლეხთა კომიტეტების საწყობებში ფართლეულობის მოტანამ და მისმა იაფ ფასებში მიწოდებამ გლეხებზედ. ამან დაბადა გლეხთა მასიური ლტოლვა ჟამიანთ კომიტეტებში ჩაწერის.

უკვე გადადგმულია ნაბიჯები ნატურალური ფონდის, სიმინდის და ლობიოს ნავთზე გადასაცვლელად აზნევეთის საშუალებით, სათანადო სინდიკატიდან თევზის, შაბიამანის და გოგირდის შესაძენად. გლეხკომებისათვის ახლო მომავალში გამოიგზავნება სამაზრო კომიტეტების საშუალებით 1042 ჩერვონეცის ფართლეულობა, რაც მეტ ინტენსიობას დაბადებს კომიტეტების გაძლიერების და მისი გაჯანსაღების საქმეში, სწარმოებს მოლაპარაკება სატყეო განყოფილებასთან რათა საჩხერის სატყეო გადაცემულ იქნეს ექსპლოატაციის მიზნით გლეხკომებზე. საჩხერეში დაარსებულია სასადილო „ცისკარი“.

სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილების მეშვეობით გლეხთა კომიტეტების ფონდიდან საექიმო (სტაციონალური და ამბულატორიული) დახმარება აღმოუჩინათ ღარიბ გლეხობას, რომლის ხარჯი უკვე 50 ჩერვონეცს აღემატება. გაღებულია გლეხთა კომიტეტების ფონდიდან ღარიბ გლეხობის დახმარებისათვის საკმაო რაოდენობის ნატურალური, ფულადი და სხვა დახმარება.

ამნაირად გლეხკომების მუშაობამ რეალური შედეგები მოჰყვა ღარიბი მოსახლეობისთვის და საჭიროა ამ ორგანიზაციის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება.

მ. კაკულაძე.

კლუბის გახსნა სოფ. ზემო-ჭალაში (ხაშურის რაიონი)

ჭალის ყოფილ ეკლესიას დაერქვა „ლენინის სახელობის კლუბი“. 1924 წ. 18 მარტს შესდგა კრება სოფელ ზემოჭალის ლენინის სახელობის კლუბში, რომელსაც დაესწრო სამას კაცამდე გლეხობა მუშები და ქალები. კლუბში შეკრებილმა საერთო საზეიმო კრებამ მოისმინა მოხსენებები რელიგიის შესახებ. კრება უცხადებს ზიზღს იმ დაბრმავებულ ხალხს, რომელსაც ვერ გაუთვალისწინებია, და ვერ გარკვეულა, თუ რა არის კლუბი და რა არის ეკლესია, და რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ საერთო საქმეს—კლუბის მოწყობას. კრება მადლობას უცხადებს ადგილობრივ მთავრობას, რომელმაც გაუწია დახმარება ახალგაზრდათა კომკავშირს სოფ. ჭალისას კლუბის გახსნის საქმეში.

უსურვებთ გამარჯვებას სოფ. ჭალის კომკავშირს, რომელს ინიციატივითაც იქნა აღდგენილი ჭალის კლუბი.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს მთელს მსოფლიოში, რომელიც დაამხობს რელიგიას და მის ნაცვლად ხელს შეუწყობს მეცნიერულ ცოდნათა გავრცელებას!

დ. ნოზაძე.

სოფლის თემი (ხონაკის მაზრა)

ამ თემის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება სამას კომლს. ამ თემში საბჭოთა ხელისუფლების დროს ბევრი რამ საგულისხმიერო გაკეთდა და კეთდება. უმთავრესი ის არის, რომ 1923 წ. ზაფხულში, ამ თემის ცენტრში გაკეთებული იქნა კარგი მოწყობილი სახალხო სახლი. ამის გაკეთებაში დიდი მონაწილეობა მიიღო დრამატიულმა წრემ, შემდგარმა ადგილობრივი მშრომელი ინტელიგენციისაგან. წრე სდგამდა ფასიან წარმოდგენებს სხვადასხვა დაბა სოფლებში სახალხო სახლის სასარგებლოდ. მეორე დიდი საქმის დაწყება—ქვის სკოლის შენობის აშენება, რომლის სიგრძე უდრის 27 არშინს და სიგანე 17 არშინს. სკოლის აშენება, რომელიც დაიწყო სეფეთის პატარა თემმა სწორედ მისაბაძი მაგალითია დანარჩენ თემებისათვის. ალსანიშნავია ის, რომ ამ სკოლას აკეთებენ შემოწირულებისა და საფონდო მიწებიდან გაყიდულ შეშების ფულით. მას არავითარ დახმარებას არ უწევს მაზრა. ჩვენ ვსურვებთ სეფეთლებს დაწყებული საქმის დაგვირგვინებას რაც შეიძლება მალე.

გრ. ნადარეიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 77.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის გეგმაშეწონილობისათვის და უწყებათა მიერ ამ კოდექსებში შესატან შესწორებათა სისტემატიზაციისათვის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. უწყების მიერ განზრახული ყოველგვარი დამატება, ცვლილება და შესწორება კოდექსებისა, ვიდრე ეს დამატება, ცვლილება და შესწორება შეტანილი იქნება განსახილველად საკანონმდებლო ორგანოში, უნდა გადაეგზავნოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომელიც მას შეიმუშავებს, სისტემაში მოიყვანს და, დადგენილი წესისამებრ, შეიტანს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგ სესიაში; ამასთანავე იუსტიციის სახალხო კომისარიატმა თავისი დასკვნა განზრახულ შესწორებათა შესახებ თავის დროზე უნდა აცნობოს დაინტერესებულ უწყებას.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სესიიდან მეორე სესიამდე ის დამატება, ცვლილება და შესწორება, რის დაუყოვნებელი განხორციელებაც აუცილებელია, იუსტიციის სახალხო კომისარიატს, სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით, შეაქვს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლება ეძლევა დაამტკიცოს იგი, ხოლო საბოლოოდ ეს დამატებანი, ცვლილებანი და შესწორებანი დამტკიცებულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესიის მიერ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ც ხ ა კ ა ი ა.

იუსტიციის სახალხო კომისარი

გ ა რ ძ ი გ ლ ი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

ა. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი.

1924 წ. მარტის 11.

ტფილისი-სასახლე.

ბრძანება.

საქართველოს ს. ს. რ. სამხედრო კომისარიატისა.

№ 7

20 მარტი 1924 წ. ქ. ტფილისი

შემჩნეულია, რომ 1902 წელში დაბადებული ზოგი მოქალაქე, რომელთაც თანახმად ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარიატის განცხადებისა ა. წ. 26 თებერვლის თარილით № 6, გეხებათ გასაწვევ უბნებზე მიწერა, არ ცხადდებიან მისაწერათ იმ აზრით, რომ ჯარში გაწვევის გამოცხადების დროს ისინი ისედაც გამოცხადდებიან მიმღებ კომისიაში.

სამხედრო კომისარიატი განმარტავს:

1. სამხედრო ბეგარის მოხდის შეღავათი მიეცემათ მხოლოდ იმ მოქალაქეთ, რომელნიც ა. წ. 1 აპრილამდინ წარადგენენ მისაწერ ადგილებში ამისათვის საჭირო საბუთებს (იხილ. სამხედრო კომისარიატის განცხადება № 6).

2. იმ მოქალაქეთა ჯარში გაწვევა, რომელნიც არ სარგებლობენ შეღავათებით და ა. წ. 1 აპრილამდინ მიეწერებიან გასაწვევ უბნებზე, მოხდება კენჭის ამოღებით, ე. ი. კენჭის ამოღების შედეგების მიხედვით ზოგნი ჩარიცხული იქნებიან სამხედრო სამსახურში, ზოგნი კი განთავისუფლებული ჯარში სამსახურისაგან.

3. ის მოქალაქენი კი, რომელნიც 1 აპრილამდინ არ მიეწერებიან გასაწვევ უბნებზე და, მაშასადამე, არც იქნებიან შეტანილნი გასაწვევ სიებში, დაკარგავენ შეღავათის და კენჭის ამოღებაში მონაწილეობის უფლებას, პირდაპირ გაიგზავნებიან ჯარში და, მიწერაზე გამოუცხადებლობისათვის, მიეცემიან სამართალში, როგორც დეზერტირები.

ზემოაღნიშნულის გამო სამხედრო კომისარიატი ადასტურებს 1902 წელში დაბადებულ მოქალაქეთა გასაწვევ უბნებზე ესლავე მიწერის საჭიროებას და აცხადებს, რომ ვადა მისაწერათ გამოცხადებისა გაგრძელებულია ა. წ. 1 აპრილამდინ.

ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარი

ხ უ ტ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

თანაშემწე ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

მე-2 სამობილიზაციო ნაწილის

უფროსი ფ ა ნ ჯ ა ვ ი ძ ე.

განცხადებები

გაუბედურებულნი და ღრმად დამწუხრებულნი ბარბარე მიხეილის ასული, დიმიტრი ივანეს-ძე, თამარა ნიკოლოზის ასული, გულნარა ირაკლის ასული, ლოლაძენი, ნინა დიმიტრის ასული კაუკჩიანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსდა ნაცნობებს, რომ კვირას, 23 მარტს მოხდება გამოსვენება ნაშუადღევის 1 საათზე საკუთარი სახლიდან პლეხანოვის პრ. № 102 პირველების შვილის და სიძის, მეორენის მაზლის და ბიძის მესამის ძმისა და ქმრისა მტკვარში ტრაღიკულად დაღუპულთ 7 თებერვალს ა. წ.

ვახტანგი დიმიტრის-ძე ლოლაძესი

და

ცოლაკ არამის-ძე კაუკჩიანცის

დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიაში. 722 1—1

ღრმად დამწუხარებულნი ეკატერინე ზაქარიას ასული, გიორგი მიხეილის-ძე და ანნა მალაქიას ასული მამაცაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 23 მარტს მოხდება გამოსვენება ნაშუადღევის 1 საათზე საკუთარი სახლიდან პლეხანოვის პრ. № 102 ტრაღიკულად დაღუპულთ 7 თებერვალს მტკვარში პირველის შვილის-შვილის და სიძის და მეორის დაუვიწყარი დისწულის და სიძის და უკანასკნელის მეულის წულის და სიძის

ვახტანგი დიმიტრის-ძე ლოლაძესი

და

ცოლაკ არამის-ძე კაუკჩიანცის

დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიაში. 723 1—1

შვილი და სიძე—ქეთო და კაკო ხინთიბიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე ხსოვნის აღსანიშნავათ გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი ძვირფასი მამის

მიხეილ ბესარიონის ძე ახალაძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. უ.

არტილერიის რაიონის ჯანსახკომისარიატის კომუჯრედი ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ ა. წ. 19 მარტს, უდროოდ გარდაიცვალა კომუჯრედის წევრი ამხ.

ფილიპე ივლიანეს ძე ცხომელიძე

დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე, კვირას 23 მარტს. გამოსვენება მიხეილის სავადმყოფოდან დილის 11 საათზე. 2—2

ვ. ი. ლენინის სახელობ. საოპერო თეატრი

დღეს, 23 მარტს

ლაკმე

სახალხო არტისტის

ლეონიდ სობინოვის

გასტროლები

ოთხშაბათს, 26 მარტს	პარასკევს, 28 მარტს
ევგენი ონეგინ	**ტრავიატა**
ლენსკის პარტიას შეასრულებს	ალფრედის პარტიას შეასრულებს
ლ. სობინოვი	**ლ. სობინოვი**

კვირას, 30 მარტს

ლოენგრინი

ლოენგრინი—სობინოვი.

დადგმა—ვ. მარჯანიშვილის

ყველა წარმოდგენებს დირიჟორობს ი. ფალიაშვილი.

№ 967

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციისაგან.

ვინაიდან მოსკოვის გაზეთებზედ აპრილის თვისთვის ფასები დაწეულია, ამიტომ ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია ამით აცხადებს ახალ ფასებს მოსკოვის გაზეთებზედ ხელის მოწერისათვის აპრილის თვისთვის:

იზვესტია	1 მ. 30	კაპ.
პრავდა	1 მ. 30	„
ბედნოტა	1 მ. 10	„
ტრუდ	1 მ. 30	„
რაბოჩაია მოსკვა	1 მ. 30	„
გუდოკი	— 90	„
რაბოჩაია გაზეტა	— 90	„
ტორგოვო პრომიშლენნაია	1 მ. 70	„
კრასნაია გაზეტა	1 მ. 80	„
კრესტიანსკაია გაზეტა	— 30	„
ეკონომიჩესკაია ჟიზნი	1 მ. 30	„
პროჟექტორი	— 80	„
ნაკანუნე	1 მ. 95	„
ოგონიოკი	1 მ. —	„
ბეზბოჟნიკი	— 30	„
კროკოდილი	1 მ. 10	„
კრესტიანკა	— 40	„
რაბოტნიცა	— 40	„
კრასნაია ნივა	1 მ. 50	„

ხელის მოწერა უდავოდ თავდება ყოველ თვის 10 დღის ე. ი. 25 რიცხვიდან და გრძელდება ბოლო რიცხვამდის.

ამისათვის ექსპედიცია სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს, როგორც კერძოთ აგრეთვე დაწესებულებებს პარტიულსა და საბჭოთა, რათა იხელმძღვანელონ ამ განცხადებით, წ ინააღმდეგ შემთხვევაში ექსპედიცია არავითარი პასუხისმგებლობას არ იკისრებს.

3—1 ექსპედიციის გამგე ე. ჩიქოლაშვილი.

მამაკაცის ტანთსაცმელი

დაუკვეთეთ სამკერვალო ხელოვნის სპეციალისტ ხელოსნებს. სამუშაოს შეასრულებენ პირადად

გენდელი და პანჩენკო

რუსთაველის პროსპექტი № 36 (ყოფ. კინო პიკადილი).

ნის 968 1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველოსათვის საჭიროა შემდეგი ნივთები:

1) შუამრბენი 8 დიუმიანი ტუმბები წყლის 20 მეტრის სიმაღლეზე მიმცემი უშუალოდ შეერთებული 440 [illegible] [illegible] ელექტრო-მოტორთან—2 ცალი.

2) მათი მოწყობილობა, როგორც: [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ლით (клапан), მილყელი (патрубок), [illegible] (фланец), [illegible] ხრახნმცობი (регулирующий вентиль) და საწნეო მილსადენი სიგრძით 20 მეტრი—2 კომპ.

ორი 8 დიუმიანი ტუმბოები შეიძლება შეცვლილი იქნეს 2 ანალოგიური 6 დიუმიანი ტუმბოებით იმავე მოწყობილობით.

ჩაბარების ვადა არის არა უმეტეს ერთი თვისა.

განცხადებები წერილობითი უნდა იქნეს შემოტანილი 27 მარტისათვის სამმართველოში, მისამართით: ლადო დუმბაძის ქუჩა № 3 (ყოფილი ველიამინოვის).

სამუშაოთა უფროსის თანაშ. ინჟინერი მელიქ-ფაშაევი. 97—3—1

ყველა: სასოფლო კოოპერატივებს, პროფკავშირებს, დაწესებულებებს

შეუძლიათ შეიძინონ: თეთრეული, ტანსაცმელი მუშებისათვის და სოფლათ გლეხთათვის „სპეცოდეჟდა“ და „პროზოდეჟდა“ ნისიათ ოთხ-ხუთ თვის ვადით განუსაზღვრელ რაოდენობით.

ახალი ფასდაკლება

ტფილისი, რუსთაველის პრ. № 10 რუსთაველის თეატრის წინ.

„სინდშვეიპრომი“

ნ. 952 6—3

ქუთაისი

ფილიპოვის სავაჭროში

(აკაკი წერეთლის ქუჩაზე)

მიღებულია ელექტრონით განათებელი ყოველგვარი მასალები გერმანიის ეკონომიური ლამპოჩკები და იყიდება ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში

იგივე სავაჭრო ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას ელექტრონის მასალის და მანქანებისას სწრაფი ჩაბარებით.

კრ. 920 15—11 პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

„კრაიტორგ“

(რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის სამრეწველო ბიუროსთან არსებული საოლქო სავაჭრო განყოფილება)

ტფილისის განყოფილება

სოლოლაკის ქ. № 4, ტელ. 8—71

აწოდებს პირველ საჭიროების კოოპერატივებს და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს შეღავათიან პირობებში უმაღლესი ხარისხის ფქვილს.

ფაბრიკატებს. ნ. 966 2—2

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1924 წ. 27 მარტისათვის დანიშნულია

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა

მთავარი არხის. მე-8-ე უბნის № 27 პალ. № 30+25 პალობამდე მიწისა და კლდის სამუშაოს ნაჭრად გაცემის შესახებ დაახლოვებით 4500 კუბ. საჟ. პირველისა და 700 კუბ. საჟ. მეორისა.

მთელი სამუშაოს შესრულების ვადა 4 თვე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ ბლანკზე სათანადო საღერბო მარკებით დახურულ კონვერტში—წარწერით: „ზაჰესის“ სამუშაოთა უფროსს 1924 წ. 27 მარტს დანიშნულ შეჯიბრებისათვის, რომელ რიცხვში მოხდება კონვერტების გახსნა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საწინდარის წარმოდგენა განცხადებულ ფასის 5 პროც. რაოდენობით, რომელი საწინდარიც მისაღებ თანხებიდან თანდათანობით გამოკლებით გადიდებულ იქნება 10 პროც.-მდე. საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან თავისუფალი არიან სახელმწიფო ორგანოები და რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები, რომელთათვისაც საწინდარი განცხადებულ ფასიდან 10 პროც. რაოდენობით ხვედრი თანხებიდან თანდათანობით შესდგება. დაწვრილებითი ცნობის მიღება შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დღის 10—2 საათამდე (ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 3, ყოფილ ველიამინოვის). იქვე გაიცემა სათანადო თეთრი ნიმუშები განცხადებისათვის.

954—3—3 ზაჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი: გოცირიძე.

მუშებო და გლეხებო! თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამზადებული ტანისაცმლები კარგი მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში

„გრუზოდეჟდა“

რუსთაველის პროსპექტი № 11 (გოლოვინ.)

მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.

ფაბრიკა:

მელიქოვის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67.

მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამოქალაქო და სპეც-ტანთსაცმელების მასიურ დამზადებაზე

ნ. 951 10—6

ქალაქ ტფილისის მე-4-ე უბნის სახალხო მოსამართლე

მუხრანის ქ. 4 იწვევს ამის გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში აბრამ მიხეილის-ძე ასკინას, როგორც მოპასუხეს ნიკოლოზ არტემის-ძე კალამკაროვის ძიების გამო ნასყიდობის სიგელის გაუქმებაზე.

სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა) 724 1—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საშუალებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—15

დავკარგე საქმეთ-სანიტ. შრომის კავშირის საწევრო წიგნაკი გაცემული გიორგი ჩიქვილაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 717 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, [illegible] ქუჩა № 4.